საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 26 აპრილი. 2019 წ. №84 (8750) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



ზელენსკიდან... ⑤ სანდრა რულოვსამდე!

ჩვენ გვავიწყდება მადლობის თქმა – მადლობა უნდა შევწიროთ უფალს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში დიდი ხუთშაბათის მსახურების შესრულების შემდეგ მრევლს მიმართა და თქვა, რომ „ჩვენ გვავიწყდება მადლობის თქმა. მადლობა უნდა შევწიროთ უფალს მისი დიდი წყალობისათვის“.

„დღეს განსაკუთრებული დღეა. მაცხოვარმა რომ აზიარა მოციქულები და მათ შორის, აზიარა იუდა ისკარიოტელი. წმინდა მამები ამბობენ, რომ იუდა ისკარიოტელი ზიარების შემდეგ გამოვიდა და გასცა მაცხოვარი. იმას რომ მადლობა შეეწირა მაცხოვრისათვის წმინდა ზიარების მიღებისათვის, ის ვეღარ გასცემდა, ეშმაკი ვერ შევიდოდა მასში.

ჩვენ უფრო ვთხოულობთ. არსებობს თხოვნითი კვერექსი, რასაც ჩვენ ვთხოულობთ, ის არის მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე, მაგრამ ჩვენ გვავიწყდება მადლობის თქმა. მადლობა უნდა შევწიროთ უფალს მისი დიდი წყალობისათვის და აი დღეს, როცა ჩვენ ვეზიარეთ წმინდათა საიდუმლოთა, ჩვენ მადლობას ვწირავთ უფალს“, — ბრძანა პატრიარქმა.

ტედ ჯონასი:

თბილისმა უნდა აირჩიოს, ④ ვენას ⑥ დაემსგავსოს თუ თეირანს!..

ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობამ მოიმატა საქართველოს ③ რომელ რეგიონშია ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?!

მაცხოვრობას აქ იშვიათად იბრალებენ ⑦ რეპორტაჟი იერუსალიმის კლინიკიდან, სადაც „წმინდანებსა“ და „წინასწარმეტყველებს“ კურნავენ

საარჩევნოდ პრეზიდენტმა პატიმრები შეიწყალა

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას განმარტებით, 25 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა კონსტიტუციით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, **შეიწყალა 19 თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებული, აქედან 2 ქალი მსჯავრდებული,** რომლებმაც სასჯელაღსრულების დაწესებულებები უკვე დატოვეს.

„საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 23 პირობით მსჯავრდებული, აქედან ორი ქალბატონი მსჯავრდებულია, 21 პირობით მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან, მათ შორის 3 პირობითი მსჯავრდებული შეწყალებულია ასევე თანამდებობის დაკავებისა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევისაგან, ხოლო ორ მსჯავრდებულს შეუმცირდა პირობითი მსჯავრის მოსახდელი ვადა“, — განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

გაფრთხილდით, სახლიდან გასვლის წინ გამორიცხეთ შესაძლო საფრთხეები!

„ერთ-ერთი მსგავსი შემთხვევა, როგორც იცით, ორი დღის წინ მოხდა, როდესაც დაკეტილ ბინაში მობინადრის მიერ უყურადღებოდ დატოვებული გაზის დანადგარის გამო საცხოვრებელ კორპუსს აფეთქების საშიშროება შეექმნა. ასევე, მცხოვრებთა ნაწილმა, მიუხედავად იმისა, რომ წინა საღამოს იგრძნო სადარბაზოში გაზის სუნი, მხოლოდ მეორე დღეს, დილით შეატყობინა კომპანიის საავარიო სამსახურს. „ყაზტრანსგაზ თბილისის“ სწრაფი რეაგირების ჯგუფის სწორად და დროულად განხორციელებული სამუშაოების შედეგად კორპუსი აფეთქებას გადაურჩა.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ „ᲧᲐᲖᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ!

დასვენების დღეების მოახლოებასთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილი, ტრადიციულად, დედაქალაქიდან რეგიონებში მიემგზავრება. ამიტომაც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და მოგმართავთ თხოვნით, გამოიჩინოთ მაქსიმალური ყურადღება — შეამოწმოთ და გადაკეტოთ გაზის ონკანები და დანადგარები, რათა სახლიდან გასვლის წინ გამორიცხოთ შესაძლო საფრთხეები.

„ყაზტრანსგაზ თბილისი“, ასევე, გაცნობებთ, რომ სადღესასწაულო დღეებში კომპანიის სწრაფი რეაგირების სამსახური საგანგებო რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში იმუშავებს. შეგახსენებთ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თქვენს საცხოვრებელ ბინაში გაზის ხელსაწყოების უსაფრთხო მოხმარებაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ. გაუფრთხილდით საკუთარ და მეზობლების სიცოცხლეს.

„ᲧᲐᲖᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ, ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲣᲫᲛᲔᲔᲑᲡ“...

მადელინ მუნი: „საქართველო, რომელსაც ნატოს წევრობა სურს, მის ფასეულობებს უნდა იზიარებდეს“



სამართლიანი სასამართლო, კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება — ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებისთვის ეს ის მთავარი ფასეულობებია, რის გამოც საქართველო შესაძლოა, ნატოს წევრი გახდეს.

„ნატოს საქართველოსთან დაახლოების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რის გაკეთებას აპირებს თავად საქართველო, რომ დაუახლოვდეს ნატოს, ანუ როგორ ვმუშაობთ ჩვენ ერთად, რომ მიზანს მივაღწიოთ და ორი მხარე უფრო დაუახლოვდეს ერთმანეთს. არის საკითხები, რომლებსაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. დემოკრატიული რეფორმები, ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება - ყველა ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და არ არსებობს მხოლოდ ერთი რამ, რაც უნდა გაკეთდეს. მაგალითად, მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება, არამედ ნატოს ღირებულებების გამტკიცებაც. ეს არის კორუფციასთან გამკლავება, მედიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, კანონის უზენაესობა — ყველა ეს საკითხი გადამწყვეტია,“ — განუცხადა „კურიერს“ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა მადელინ მუნიმ.

მისივე თქმით, ქვეყნებს, რომლებსაც ალიანსის წევრობა სურს, მის ფასეულობებს უნდა იზიარებდნენ.

აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა აურიეს...

აზერბაიჯანელი **მესაზღვრეების მიერ უდაბნოს მონასტრის ჩაკეტვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ეხმაურება.**

უწყებაში მომხდარს ადასტურებენ და ამბობენ, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მხრიდან განხორციელდა ქედს მიღმა გადამსვლელი ნაკადის შეზღუდვა, საკითხის გადაწყვეტას კი გარკვეული დრო სჭირდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელის ვლადიმერ კონსტანტინიდის თქმით ამ ეტაპზე ყველამ ემოციური ქმედებებისა და განცხადებებისგან თავი უნდა შეიკავოს.

მომგებიანი მეურნეობა გამყოფ ხაზთან

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და საქართველოს გარემოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორთან გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად სოფელ ნიქოზში იმყოფებოდნენ, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „ნიქოზის“ სანერგე მეურნეობა მოინახულეს.**

ფერმერმა გიორგი მჭედლიძემ სოფლის მეურნეობის პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში,გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელში მომგებიანი მეურნეობა შექმნა, რომელიც გაფართოებასა და ახალი ჯიშების გამრავლებაზეა ორიენტირებული. ფერმერმა ამერიკული ჯიშის კაკლისა და ნუშის ნერგები ჩამოიტანა და რამდენიმე ათას ჰექტარზე გააშენა.

„კოოპერატივი ნიქოზი ძალიან კარგ საქმეს აკეთებს, რომელიც სანიმუშო და სამაგალითოა სხვა ფერმერებისთვის. სიმბოლური და მნიშვნელოვანია, რომ ეს ბაღი ზუსტად გამყოფი ხაზის მიღმაა.ერთია ის პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს მრავალწლიანი კულტურის გაშენებისა და თანამედროვე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის და მეორე და მნიშვნელოვანი, რომ გამყოფ ხაზთან მცხოვრები ფერმერებისთვის დამატებითი შეღავათები არსებობდეს. ჩვენ ასეთი შეღავათები გავაჩინეთ ყველა მიმართულებით, რათა უფრო მეტი მოტივაცია ქონდეს გამყოფი ხაზის პირას მცხოვრებ ფერმერს“, — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, ფერმერები განსხვავებული პირობებით ისარგებლებენ. კერძოდ, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისათვის ცვლილებები შევა პროექტში „დანერგე მომავალი“. მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტში გასაშენებელი მიწის მინიმალური ფართობი შეადგენს 1 ჰა-ს, ცვლილების თანახმად, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიწის მინიმალური ფართობი შემცირდება და 1 ჰა-ს ნაცვლად მინიმალური ფართობი იქნება 0,5 ჰა. ასევე მრავალწლოვანი ხეხილის ბაღების თანადაფინანსების კომპონენტში ფერმერი იღებდა ნერგებზე 70%, ხოლო სარწყავსისტემებზე 50% დახმარებას, ცვლილებების თანახმად, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისთვის ფერმერი მიიღებს ნერგების ღირებულების 80% თანადაფინანსებას, ხოლო სარწყავი სისტემების ღირებულების 60% დაფინანსებას.

სიტუაცია ამ დროისთვის მოგვარებულია...

საგარეო **საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ სამონასტრო კომპლექსამდე მისასვლელი მონაკვეთის დაკეტვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გახსნას პუნქტები, რომლებიც ამ დროისთვის იყო დაკეტილი.**

მინისტრის განცხადებით, ქართულ მხარეს ინფორმაციის მიღებისთანავე ჰქონდა მყისიერი რეაქცია.

„ქართული მხარე მომავალში იმუშავებს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციაზე, პროცესი კომისიებში ცვლილებების გამო იყო შეფერხებული. ზალკალიანი იმედოვნებს, რომ პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება და საკითხი ორ მხარეს შორის მოლაპარაკების გზით მოგვარდება.

როგორც კი შევიტყვეთ ინფორმაცია, მყისიერი კომუნიკაცია დამყარდა ჩვენს აზერბაიჯანელ კოლეგებთან. მე მქონდა საუბარი ჩემს კოლეგა მინისტრთან, შსს-ს ჰქონდა საუბარი კოლეგებთან. სიტუაცია ამ დროისთვის მოგვარებულია“, — განაცხადა ზალკალიანმა.

„საქართველოში ალბათ, ატომური ელექტროსადგური დაგვჭირდება“

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რევაზ არველაძის განცხადებით, ხელისუფლებამ ინვესტორებთან ერთად მოსახლეობას კარგად უნდა აუხსნას, რა სარგებელი, ან ზიანი მოაქვს ჰესების მშენებლობას.

როგორც ენერგეტიკოსი დეპუტატი BMG-ის„ხადორი 3“ ჰესის მშენებლობის შესაჩერებლად, პანკისში განვითარებული მოვლენების შეფასებისას აცხადებს, ნებისმიერი ობიექტი, რომელიც უნდა ააშენო, გარკვეულ უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

„რაც დიდია ობიექტი, მეტ გავლენას ახდენს, მაგრამ აქ უნდა ავწონ-დავწონოთ, რა ზიანი მიაყენა გარემოს და რა დადებითი მოიტანა, მით უმეტეს, თუ ამ ზიანის ამანაზღაურებელ ღონისძიენებს ატარებს. თუ არ გაჭრის ეს ამბავი, ხომ არ დაიწყებ სროლას მოსახლეობის წინააღმდეგ?! არის შესაძლებლობა, რომ ავაშენოთ თბოელექტროსადგურები, ძირითადად საკვანძო, საყრდენი ქვესადგურების — ქსანისა და ზესტაფონის ქვესადგურების გვერდზე, მაგრამ ეს სიმძლავრეები არ ეყოფა, თუმცა კიდეც რომ ავაშენოთ, მაინც იმპორტირებულ გაზზე უნდა ვიყოთ და არა საკუთარ რესურსებზე“, — აღნიშნა რევაზ არველაძემ.

რაც შეეხება სხვა ალტერნატიული რესურსების განვითარებას, დეპუტატი განმარტავს, რომ ქარისა და მზის სადგურების მშენებლობა ელექტროენერგიაზე მზარდ მოთხოვნას ვერ უპასუხებს.

„რა თქმა უნდა, იმ დოზით, რამდენითაც შესაძლებელია, შეიძლება ავამოქმედოთ ქარისა და მზის ელექტროსადგურები. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს გლობალურად პრობლემას გადაწყვტს, მას არ ესმის, რა არის ენერგეტიკა და ბოლოს ალბათ იქამდე მივალთ, რომ ატომური ელექტროსადგური დაგვჭირდება, თუ რა თქმა უნდა, ეკონომიკა განვითარდა იმ ტემპებით, რაც განვითარებული ევროპული ქვეყნების რიგში ჩასადგომად არის საჭირო. ამ შემთხვევაში, ცხადია, მას დასჭირდება ძალიან დიდი რაოდენობით ელექტროენერგია“, — განაცხადა არველაძემ.

აქვე არველაძე იმ გავლენებზე საუბრობს, რაც ატომური ელექტროსადგურის მუშაობას ეკოლოგიასა და ეკონომიკაზე აქვს.

„ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა ერთი პერიოდი სერიოზულად შეჩერდა, თუმცა იმ მიმართულებით, რომ ის უსაფრთხო გამხდარიყო, ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ მოწინავე ქვეყნები, ასე რომ ახალი თაობის — „სამი პლიუსი“ თაობის რეაქტორები ძალიან უსაფრთხოა.

ფუკუშიმას ტრაგედიამაც დაადასტურა ის ამბავი, რომ მიწისძვრამ ვერაფერი უქნა სადგურს და ცუნამმა რომ გადაუარა, ის იყო მისი ძირითადი დამაზიანებელი.

რაც შეეხება გარემოზე ზემოქმედებას, ეს არის ყველაზე უსაფრთხო ამ თვალსაზრისით. საცხოვრებელი სახლებში, სადაც გაზი იწვის, შიგნით წვის პროცესი როცა არის, მას ბევრად უფრო მეტი რადიაციული გამოსხივება აქვს, ვიდრე ატომურ ელექტროსადგურს. თუ რაღაც არ მოხდა, ღმერთმა დაიფაროს, ასეთი ეკოლოგურად უსაფრთხო, არც ერთი ობიექტი არ არის“, — აღნიშნა რევაზ არველაძემ.

მისივე ინფორმაციით, ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, ერთი კილოვატი დადგმული სიმძლავრის მისაღებად, 4000 აშშ დოლარს აღწევს, რაც სხვა ელექტროსადგურებთან შედარებით ძვირია.

„თუმცა ურანის ღირებულებიდან გამომდინარე, მასზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება უფრო იაფია, ვიდრე თბოსადგურებზე“, — განმარტა რევაზ არველაძემ.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲜᲐᲢᲝᲡ „ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲘᲛᲔᲢᲠᲘᲣᲚᲘ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲗ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ შავი და ბალტიის ზღვებში ნატოს წარმოდგენილობის ზრდისა და რუსეთის საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოჩენის საპასუხოდ „დროული და არა აუცილებლად სიმეტრიული“ ნაბიჯების გადადგმის პირობას დებს. ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ 24 აპრილს მოსკოვში, საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე განაცხადა.

„ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრაქტიკული ქმედებები, — იქნება ეს რუსეთის საზღვრების სიახლოვეს სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოჩენა, თუ შავი და ბალტიის ზღვებში წარმოდგენილობის ზრდა,— დაძაბულობას აღრმავებს და რუსული მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. მერწმუნეთ, საპასუხო ნაბიჯები დროულად იქნება გადადგმული, თანაც არ არის აუცილებელი, ისინი ნატოს ქმედებების სიმეტრიული იყოს“, — განაცხადა სერგეი შოიგუმ.

შავი ზღვის აუზში მეტი ხომალდის გაგზავნის გადაწყვეტილება ნატომ ყირიმის ანექსიის, ქერჩის კრიზისისა და მეზობლების მიმართ რუსეთის სხვა აგრესიული ნაბიჯების საპასუხოდ მიიღო. ბრიუსელსა და თბილისში ამას იძულებით, თუმცა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეკავების ყველაზე ეფექტურ ზომად განიხილავენ.

როგორც 23 აპრილს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ბათუმის პორტში ამერიკულ სამხედრო გემ „როსის“ მიღების შემდეგ განაცხადა, ეს ყველაფერი რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კეთდება:

„რუსეთის რეაქციის მიუხედავად, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ აშშ-სთან და ნატოსთან სამხედრო თანამშრომლობა, მათ შორის სამხედრო ხომალდების ვიზიტები რეგიონში მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს“, — განაცხადა იზორიამ.

ამავე კონტექსტში განიხილავენ სამხედრო ანალიტიკოსები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე სამხედრო წვრთნებს, რომელიც უკვე რუტინულად იქცა. მათი აზრით, სწორედ რუსეთის ქმედებებმა გამოიწვია ის, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის ცივი ომის რიტორიკა და გამალებული შეიარაღება განახლდა.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: რუსეთი მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში მასშტაბურ სამხედრო სწავლებებს ატარებს. გასულ კვირას სამხედროებმა სარაკეტო შეტევების მოგერიებაში ივარჯიშეს, ახლა კი წვრთნას პირობითი მტრის ობიექტების დაბომბვაში გადიან. სწავლებებში 3 000 ჯარისკაცი, 400 ერთეული ტექნიკა და სამხედრო გემი მონაწილეობენ.

მიმდინარე წვრთნებს საქართველოს ხელისუფლება ძალის დემონსტრირებად აფასებს.

სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი აღნიშნავს, რომ შარშან 120-ზე მეტი სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო წვრთნა და მანევრი ჩატარდა, ხოლო ამჯერად 3 000 სამხედროს მონაწილეობით ძალიან მასშტაბური წვრთნები იმართება.

„ეს ორ რამეზე მიანიშნებს: 1. ჩვენი ოკუპირებული რეგიონები ფაქტობრივად, სამხედრო პოლიგონად იქცა და 2. ეს არის რუსეთის პოლიტიკა, როგორც თავად ამბობენ, რეაქცია საქართველოს ნებისმიერ წინსვლაზე, ნაბიჯზე, რომელიც უკავშირდება უსაფრთხოების განმტკიცებას, ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობას, NATO-სთან დაახლოებას“, — განაცხადა ციხელაშვილმა.

ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე წვრთნები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პარლამენტმაც დაგმეს.

„ყველა ასეთი მოქმედება სამშვიდობო პროცესს ძირს უთხრის და მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ საფრთხის ქვეშ აყენებს მშვიდობასა და სტაბილურობას მთლიანად რეგიონში“, — განაცხადა საგარეო უწყების წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდიმ.

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხთა სპეციალისტი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲑᲠᲝᲜᲘᲫᲔ** საქართველოს ისტორიულ წარსულს იხსენებს და აცხადებს, რომ ქვეყნისთვის გამოსავალი სწორედ დასავლეთთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციაა:

„რუსეთი ხომ ამას ნებისმიერ შემთხვევაში აკეთებს და ამის ისტორიული პრაქტიკა უკვე გვაქვს: 1994-1999 წლებში პრაქტიკულად მიტმასნილები ვიყავით მის კალთას, მის პოლიტიკურ დღის წესრიგს ვატარებდით, საქართველოში ძალოვან მინისტრებს კრემლის რეკომენდაციით ვნიშნავდით, მაგრამ ამას მოსკოვისგან საქართველოსთან მიმართებაში არანაირი პოზიტიური გზავნილი, დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, როგორც კი პირველი დამოუკიდებელი ეკონომიკური პროექტი — ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაჩნდა, რუსეთმა საქართველოს პრეზიდენტს ტერაქტი მოუწყო; 1997 წელს რუსული მოდელით საქართველოს კონფედერაცია (რაც ქვეყნის სუვერენიტეტის ფაქტობრივ მოსპობას ნიშნავდა) რომ ვერ შედგა, მეორედ მოაწყვეს ტერაქტი; გალში მცირე ომი და უამრავი სხვა ნეგატიური სიურპრიზი გვქონდა...

დღეს რუსეთი აცნობიერებს, რომ, რაც მეტად ითანამშრომლებს საქართველო დასავლეთთან, მეტად გაიზრდება ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ინტენსივობა. ეს მას აშფოთებს: დემოკრატიული ხელისუფლება გარედან რთულად მანიპულირებადია და მას გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესის ეშინია. მეორეც, რაც უფრო მეტად მიებმება საქართველო დასავლეთს სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით, მით მეტად დაშორდება რუსულ ორბიტას და მოსკოვს შეეზღუდება საქართველოსა და უკრაინაზე ზემოქმედების ბერკეტები“.

სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მიმომხილველი **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ** დარწმუნებულია, რომ რუსეთს მისი მეზობლების, მათ შორის საქართველოს ვერანაირი ნეიტრალიტეტი ვერ შეაჩერებს და ძლიერი პარტნიორების გარეშე ქვეყანამ შესაძლოა, თავისუფლება დაკარგოს: **„რუსეთს (საქართველოს) ვერანაირი ნეიტრალიტეტი ვერ შეაჩერებს. იგი აგრესიული სახელმწიფოა, რომელიც მუდმივად ვინმესთან ომისკენ, ვინმეს დაპყრობისკენ ისწრაფვის და ცდილობს, მეზობლები შიშში აცხოვროს. თუ საქართველოს ძლიერი პარტნიორები არ ეყოლება, თავისუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებს“.**

ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ 20 ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ აუდიტის სამსახურმა პარტიების დეკლარაციები გამოაქვეყნა, რომელიც 20 მარტიდან 9 აპრილის პერიოდს მოიცავს.

დეკლარაციის მიხედვით, „ევროპული საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ შემოსავალმა ამ საანგარიშო პერიოდში 400 791.91 ლარი შეადგინა. აქედან მიზნობრივი დაფინანსება 42 085 ლარი იყო, შემოწირულობის სახით კი საარჩევნო სუბიექტმა 3 281 ლარი მიიღო.

დეკლარაციის მიხედვით, „ევროპული საქართველო — თავისუფალი დემოკრატების“ ხარჯებმა 107 940 ლარი შეადგინა. საარჩევნო სუბიექტმა რეკლამისთვის 1022 ლარი დახარჯა, 51 668 ლარი კი შრომის ანაზღაურებას მოხმარდა.

დეკლარაციის მიხედვით, ამავე საანგარიშო პერიოდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოსავალმა 64 714.51 ლარი შეადგინა, საიდანაც 42 085 ლარი მიზნობრივი დაფინანსება იყო, 21 563 ლარი კი პარტიამ შემოწირულობის სახით მიიღო.

რაც შეეხება ხარჯებს, ენმ-მ ამ საანგარიშო პერიოდში 84 829 ლარი დახარჯა, აქედან 3 755 ლარი შრომის ანაზღაურებას მოხმარდა.

დეკლარაციის მიხედვით, შემოსავლის სახით 1 133 208.29 ლარი მიიღო „ქართულმა ოცნებამ“, საიდანაც 84 169 ლარი საბიუჯეტო შემოსავალი იყო, 1 049 000 კი — შემოწირულობა.

პარტიამ დეკლარაციის მიხედვით, 1 156 119 ლარი დახარჯა, აქედან 341 270 — რეკლამაში, 34 694 კი შრომის ანაზღაურებას მოხმარდა.

◎ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

...ᲠᲐᲝᲓᲔᲜ საამაყოა რომ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ნიკო ნიკოლაძის შთამომავალია, დიდი პიროვნების, რომელმაც **„პარიზი გაანათა“**. ეს სიტყვები („პარიზი გაანათა“) ცნობილ ფრანგ მოღვაწეს პოლ დუმერის ეკუთვნის. ის გახლდათ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი და შემდგომ პრეზიდენტი.

ქვეყნის მახასიათებელი პრიორიტეტებია: სახელმწიფო გერბი, დროშა, ჰიმნი, ენა,ფულის ნიშანი, დაცული სახელმწიფო საზღვრები.

ქვეყნის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა თავისი მოღვაწეობა აქტიურად დაიწყო: მოინახულა საზღვრისპირა რეგიონები, იყო მეზობელ აზერბაიჯანში, სომხეთში, ლიეტუვაში, ჩავიდა საფრანგეთში, გერმანიაში, სტრასბურგში. წარმოადგინა რუსეთთან ურთიერთობის ახალი კონცეფცია, რაც უდავოდ მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ასეთმა დიპლომატიურმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო აამაღლა ჩვენი ქვეყნის ცნობადობა.

აქვე მინდა გამოვხატო მოსაზრება პრეზიდენტთან ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას ინტერვიუს შესახებ. ი.გრიგოლია ყოველგვარ ჟურნალისტურ ნორმებს გასცდა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. ქალბატონი ინგა ვერასდროს გახდება მშვიდობის დესპანი. დროა, დასრულდეს ურთიერთდაპირისპირება, ტელეეკრანებიდან გაქრეს ტყუილის ტირაჟირება და აპოკალიფსური მდგომარეობის „წარმოჩენა“...

ქვეყნის პრეზიდენტს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ვუსურვებთ კვლავაც შეუპოვრად იღვაწოს ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად და ასაღორძინებლად.

„საზოგადოება სამგრედიელის“ დამფუძნებელი
ᲒᲘᲐ ᲑᲝᲭᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲞᲔᲜᲡᲘᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ

ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ საქართველოს დეპუტატებმა — ლელა ქებურიამ, გიგა ბოკერიამ და ზურაბ ჭიაბერაშვილმა სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემა დატოვეს. კანონმდებლობის მიხედვით, ამის საშუალება 40 წელზე მეტი ასაკის ადამიანებს აქვთ. გიგა ბოკერიას თქმით, მოქალაქეების ნაწილმა ეს არ იცის და არც მთავრობამ აწარმოა კამპანია, რათა მათ ინფორმაცია ჰქონოდათ.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი მთავრობის პირობებში, უმჯობესია, ადამიანები თავიანთ ფულს თვითონ განკარგავდნენ.

„სახელმწიფო მოქალაქეებს, მათ შორის მათ, ვისაც ყველაზე დაბალი ხელფასი აქვს და ყველაზე მეტად უჭირს, ჯიბეში უყოფს ხელს და ართმევს მათი არჩევანის გარეშე, მათი ნების საწინააღმდეგოდ თანხას, რომელსაც დიდი ალბათობით გაფლანგავს. ეს ე.წ. საპენსიო რეფორმა რეალურად არის თანხების ამოღება ძალით ჩვენი მოქალაქეებისგან. ეს არის ფაქტორი, რომელიც ამცირებს სამუშაო ადგილების შექმნის შანსს, ამცირებს შემოსავლებს, ანელებს ეკონომიკურ ზრდას, ზრდის საგადასახადო წნეხს. ანუ, ყველანაირი მავნებლობაა. ამიტომ, მე როგორც მოქალაქე, ვიყენებ შესაძლებლობას, რომ ჩემ ფულს მე თვითონ განვკარგავდე და არა მთავრობა. ყოველთვის ჯობია, რომ მოქალაქეს ჰქონდეს საკუთარ ფულზე კონტროლი, ვიდრე ნებისმიერ მთავრობას და მით უმეტეს ისეთს, როგორიც ივანიშვილის მთავრობაა“, — ამბობს ბოკერია.

***ტედ ჯონასი** ამერიკელი იურისტია, რომელიც 20 წელზე მეტია, თბილისში ცხოვრობს. კერძო იურიდიული პრაქტიკის პარალელურად, ის „კავკასიის ბუნების ფონდის“ დირექტორთა საბჭოს წევრია და გარემოსდაცვითი აქტივიზმითაა დაკავებული. ბოლო წლებში, აქტიურად საუბრობს ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის მავნე გარემოსდაცვითი ზეგავლენის შესახებ. გასულ წელს, კი ერთ-ერთი ავტომაგისტრალის წინააღმდეგ მიმართული პეტიციის თანაავტორთა შორის იყო.*

ტედ ჯონასი:
თბილისმა უნდა აირჩიოს, ვენას დაემსგავსოს თუ თეირანს!..



როდესაც მთავრობა ამბობს, რომ 200 მილიონი დაიხარჯება ამა თუ იმ პროექტზე, უნდა წავიდეთ ამის მიღმაც და ვიკითხოთ, რამდენ სამუშაო ადგილს შექმნის ის, რა სარგებელი იქნება მშპ-ს თვალსაზრისით. სინამდვილეში, ჰესები ძალიან ცოტა სამუშაო ადგილს ქმნის მაშინ, როცა გარემოზე უდიდესი მავნე ზეგავლენა აქვს, აზიანებს ტურიზმის ეკონომიკას ისეთ ადგილებში, როგორიც სვანეთია და ა.შ.

— თქვენ ამბობთ, რამ ტურიზმიდან ქვეყანას მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია....

— დიახ, გამოქვეყნებულ სტატიაშიც და ისეც, მინდოდა, ხაზი გამესვა, რომ შეხედეთ, გაძვთ ტურიზმი, რომელმაც 2017 წელს 2 მილიარდი დოლარი მოუტანა ეკონომიკას. ეს მაშინ, როცა 18 მილიონი დოლარია მხოლოდ ელექტროენერგიის ექსპორტიდან შემოსული თანხა. შეადარეთ 2 მილიარდი 18 მილიონს, რომელიც სწორედ ჰესებიდან და ენერგიის ექსპორტიდან შემოვიდა. მთავრობის პოლიტიკა კი აჩვენებს, თითქოს ჰესების მშენებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს. ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში ეკონომიკურად ნამდვილად არ არის ასე.

— თქვენ სამ სატელევიზიო გამოსვლაში და გამოქვეყნებულ სტატიაში საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებდით, რომ დროა, გარემოს დაცვითი საკითხები სერიოზულად იყოს აღქმული. რა გაფიქრებინებთ, რომ ეს არაა ხელისუფლების მნიშვნელოვანი პრიორიტეტი?

იმ სტატიის დაწერისკენ, რომელშიც ამას ვამბობდი, რამდენიმე მიმდინარე მოვლენამ მიბიძგა. ერთი იყო ის, რომ მთავრობამ გააერთიანა გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რაც სინამდვილეში მის გაუქმებას და სამინისტროს დონიდან დეპარტამენტის დონეზე დაყვანას ნიშნავდა. ჩემი აზრით, ისინი აკნინებდნენ გარემოს დაცვის სამინისტროს მნიშვნელობას და ეს იყო გზავნილი, რომ გარემო არ არის მნიშვნელოვანი. ეს კი იმ დროს, როდესაც საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობა იზრდებოდა.

საქართველოში გარემოს დაცვაზე დიდხანს არ ფიქრობდნენ, იყო უკიდურესი სიღარიბე, არ იყო ინდუსტრიული საქმიანობა და გვქონდა „სიღარიბით გამოწვეული გარემოს დაცვა“. საბედნიეროდ, ახლა ასე აღარაა. ეკონომიკა გაცილებით მეტად ვითარდება, აშენდა ჰიდროელექტროსადგურები, დაიწყო ბევრი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, მასობრივი ზრდაა ტურიზმში და არის ბევრი განვითარებითი პროექტი. ასე რომ, სწორედ იმ დროს, როდესაც მეჩვენებოდა, რომ ნამდვილად დროა, საქართველომ გადადგას ნაბიჯები გარემოსდაცვითი ქმედებების აღსასრულებლად, მათ დაიწყეს სამინისტროს დაკნინება.

შემდეგ კი, იმავე პერიოდში, სახელმწიფომ დაიწყო 200 კმ სიგრძის გზის მშენებლობის პროექტი. სნოდან, ხევიდან ჯუთამდე, ხევსურეთის გავლით, ხევსურეთიდან თუშეთში და იქიდან პანკისში.

ხეობები კავკასიონზე არის ჩრდილო-სამხრეთით და გზებიც ასევე იყო ყოველთვის, ახლა კი ამ გზას უნდა გადაევლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ეროვნული პარკის და ბიომრავალფეროვნებით ძალიან მდიდარი ტერიტორიების გადაკვეთით. მე „კავკასიის ბუნების ფონდის“ ბორდის წევრიც ვარ და ეროვნული პარკების დაცვა ჩვენი ერთ-ერთი მიმართულებაა. ეს არის ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარკი და შოკი იყო, რომ მათ დაუშვეს, საერთოდ განიხილეს ამ საავტომობილო გზის მშენებლობა ტერიტორიაზე, რომელიც ბუნების მკაცრი დაცვის ზონა უნდა იყოს. მინდოდა, ხაზი გამესვა, რომ ხელისუფლება აუქმებს სამინისტროს, რომ აშენებს საავტომობილო გზებს დაცულ ზონებში და აშენებს ჰესებს რაიმე გეგმის ან კონტროლის გარეშე. არ ვამბობ, რომ ყველა ჰესი ცუდია. ცუდი ისაა, რომ ისინი შენდება ყველგან, სადაც კი მათი აშენება შეიძლება. ჩანს, რომ არ არის გეგმა.

— თქვენ ამბობთ, რომ ტურიზმიდან ქვეყანას მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება შეუძლია....

— დიახ, გამოქვეყნებულ სტატიაშიც და ისეც, მინდოდა, ხაზი გამესვა, რომ შეხედეთ, გაძვთ ტურიზმი, რომელმაც 2017 წელს 2 მილიარდი დოლარი მოუტანა ეკონომიკას. ეს მაშინ, როცა 18 მილიონი დოლარია მხოლოდ ელექტროენერგიის ექსპორტიდან შემოსული თანხა. შეადარეთ 2 მილიარდი 18 მილიონს, რომელიც სწორედ ჰესებიდან და ენერგიის ექსპორტიდან შემოვიდა. მთავრობის პოლიტიკა კი აჩვენებს, თითქოს ჰესების მშენებლობა ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს. ეს ასე არ არის. ყოველ შემთხვევაში ეკონომიკურად ნამდვილად არ არის ასე.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის იმ რესურსებისა და იმ მახასიათებლების შენარჩუნება, რომელიც ქვეყანას აქვს და ტურიზმის ეკონომიკას ამოძრავებს. რა თქმა უნდა, გვჭირდება ენერგორესურსები და ამის შესახებ გულუბრყვილო ნამდვილად არ ვარ. მაგრამ ვფიქრობ, ხალხმა უნდა დაინახოს ეს საკითხი ამ პერსპექტივითაც — როცა გარემოზე ვლაპარაკობთ, ეს ეკონომიკური საკითხიცაა. ესაა საუბარი იმის შესახებ, თუ რა ხდის საქართველოს მომხიბვლელს საერთაშორისო ტურისტებისთვის.

ცხადია, ყველა ტურისტი ბუნებაში არ გადის, მაგრამ ყველა ტურისტულ რეკლამაზე, სადაც კი საქართველოზეა საუბარი, ნახავთ კავკასიის მთებს, ზურგჩანთიან მოგზაურებს და ისინიც კი, ვინც მთელ დროს თბილისსა და ბათუმში გაატარებს, ამბობენ: ოჰ, როგორი მშვენიერია ეს ქვეყანა, იქ უნდა წავიდე. ეს იმიჯი, ეს სახე ქვეყნისა, როგორც დაუჯერებლად მშვენიერი ბუნებრივი გარემოს მქონე ქვეყნის, არის ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაგნიტი და მისი ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა და ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, ვიდრე ენერგეტიკის განვითარება.

— ძალიან ბევრი ადამიანი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ამავე თემებზე „გარემოს დაცვისა“ და „კონსერვაციის“ საპირისპიროდ სიტყვა „განვითარებას“ იყენებს. როგორ ფიქრობთ, რატომ არაა ეს ციფრები საკმარისად დამაჯერებელი მათთვის, ვინც ამბობს, რომ კონსერვაცია განვითარების საწინააღმდეგო რამაა?

— სინამდვილე ისაა, რომ არის ბიზნეს ინტერესები, მოგება ამგვარი მშენებლობებისგან. ჰიდროელექტროსადგურის პროექტი ქმნის ბევრ სამშენებლო კონტრაქტს, იქნება ეს გვირაბების მშენებლობა თუ სხვა. იგივეა გზების მშენებლობაზეც. ეს არის მცირე, შერჩევითი ჯგუფი ქართული ბიზნესებისა, რომელიც იღებს მოგებას ამ პროექტებიდან და რომელსაც აქვს ახლო კავშირები მმართველ პარტიასთან.

ეს არ ეხება მხოლოდ ამჟამინდელ ხელისუფლებას, ეს ასე ხდება ნებისმიერ სხვა მთავრობასთან და ამერიკაშიც კი სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მომუშავე კომპანიები დაკავშირებულნი არიან მთავრობასთან.

როდესაც მთავრობა ამბობს, რომ 200 მილიონი დაიხარჯება ამა თუ იმ პროექტზე, უნდა წავიდეთ ამის მიღმაც და ვიკითხოთ, რამდენ სამუშაო ადგილს შექმნის ის, რა სარგებელი იქნება მშპ-ს თვალსაზრისით. სინამდვილეში, ჰესები ძალიან ცოტა სამუშაო ადგილს ქმნის მაშინ, როცა გარემოზე უდიდესი მავნე ზეგავლენა აქვს, აზიანებს ტურიზმის ეკონომიკას ისეთ ადგილებში, როგორიც სვანეთია და ა.შ.

მე არ ვარ ჰესების წინააღმდეგი, ბევრი სხვა ადამიანივით მაწუხებს ის, რომ ვხედავ, არ არსებობს გეგმა იმის შესახებ, სად და რამდენი ჰესი უნდა აშენდეს. როცა იგეგმება 5-6 ჰესის აშენება სვანეთსა და რაჭაში, გვჭირდება კი ყველა მათგანი? თუ გვჭირდება ენერგოპოლიტიკა, რომელიც გვეტყვის, რომ შესაძლოა, აქედან 2-3-ის გაკეთებაა საჭირო, იქნებ ამავე ენერგიას სხვა ადგილებიდანაც მივიღებთ და ა.შ. იქნებ შევავსებთ იმავე რაოდენობას ქარის ენერგიისა და ენერგოეფექტურობით დაზოგილი ენერგიის დამატებით?

ეს არის ტენდენცია, ფულის ჩაყრისა დიდ პროექტებში. რადგან არის ეს ფული ინვესტორებისგან, საერთაშორისო დონორებისგან. ეს კარგად გამოიყურება, პოლიტიკურად შთამბეჭდავია. მაგრამ ესაა ფულის ჩაყრა პროექტებში, რომელთა ნახევარიც ალბათ საჭირო სულაც არაა, უფრო რაციონალური გეგმა რომ გვქონდეს და ისე ვმოქმედებდეთ!

— ფიქრობთ, ეს სტრატეგიული ხედვის ნაკლებობის ბრალია?

— ვფიქრობ კი, სურთ, აჩვენონ, რომ ინვესტიციების ციფრები იზრდება, რომ ამ რაოდენობის თანხა დაიხარჯა. ასეთი პროექტები დროებით, მშენებლობის ეტაპზე ძალიან ბევრ ხალხს ასაქმებს, მაგრამ როდესაც ისინი მთავრდება, მათი ფუნქციონირებისთვის ძალიან ცოტა ადამიანის მუშაობაა საჭირო. მით უმეტეს ტურიზმის ინდუსტრიასთან შედარებით, რომელიც ბევრი ადამიანის შრომას აერთიანებს. იქნება ეს ტურები, სასტუმროები, რესტორნები თუ სხვა. ეკონომიკაში ამდენ შემოსავალს ვერ შექმნი მხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტების გადაჭარბებული შენებით. მაგრამ ვფიქრობ, ადამიანები, რომლებსაც სხვა ინტერესი აქვთ, არ უყურებენ რეალურ სტატისტიკას.

ისიც პრობლემურია, რომ ადამიანის უფლებებზე მომუშავე ბევრი კარგი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ძალიან ცოტა თუ აკვირდება გარემოს დაცვის საკითხებს. არ არსებობს კარგი მონაცემთა ბაზებიც იმისა, თუ როგორი უნდა იყოს შიდა ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვა, ენერგოდაგეგმარება და ა.შ.

იხ. 6 გვ.

ლიბიაში მყოფი ორი ქართველი მეზღვაური სამშობლოში უახლოეს მომავალში დაბრუნდება

ლიბიაში მყოფი ორი ქართველი მეზღვაური სამშობლოში უახლოეს მომავალში დაბრუნდება, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდიმ განაცხადა. აჭარის ტელევიზია კონსტანტინიდიზე დაყრდნობით იუწყება, რომ ლიბიელმა სამართალდამცველებმა ქართველ მეზღვაურებს ის შეზღუდვები მოუხსნეს, რომელიც ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობას ითვალისწინებდა. ქართველი მეზღვაურები ლიბიაში იანვრიდან იმყოფებიან.

ზელენსკიდან... სანდრა რულოვსამდე!

ვლადიმერ ზელენსკის არჩევით უკრაინელმა ამომრჩეველმა საკუთარ ქვეყანას (საკუთარ თავს) ხარაკირი ხომ არ გაუკეთა?

ხომ შეიძლება ეს არჩევანი საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდეს და ერთ დროს წარმატებული სახელმწიფოს საბოლოოდ დამცრობისა და დასუსტების მიზეზიც გახდეს?!

ის, რომ შოუმენი ზელენსკი არჩიეს ოლიგარქ პოროშენკოს და მას სხვა, მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატურა ვერ დაუპირისპირეს, იმაზე მეტყველებს, რომ უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა დაზომბირებულია.

უკრაინელები ვერ აცნობიერებენ, რომ მსოფლიოს არ ახსოვს შოუმენის მიერ სწორად მართული სახელმწიფო! ბუნებრივია, ამ შემთხვევაში არგუმენტად მსახიობ **რონალდ რეიგანის** მაგალითი არ გამოდგება. მით უმეტეს, იგი პრეზიდენტად შტატის გუბერნატორობიდან მოვიდა და პოლიტიკური კულტურაც უკვე დახვეწილ-რაფინირებული ჰქონდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების სხვა ტრადიციები არსებობს — იგი არსებითად განსხვავდება პოსტსაბჭოთა სივრცისგან, სადაც სიტყვა „კონკურენცია“ (როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სიბრტყეზე) თითქმის „უცხო ხილად“ ითვლებოდა.

ეტყობა, სისხლიანი „მაიდნის“ გავლით, ემოციურ ნოტაზე მოსულმა ოლიგარქმა **პოროშენკომ** ბოლომდე ვერ გაამართლა ე.წ. „პატრონთა“ იმედები და 5 წლის შემდეგ საჭირო გახდა მისი ჩაჩოჩება. ნიშანდობლივია ისიც, რომ ექსპრეზიდენტმა ვერც უკრაინელთა იმედები გაამართლა, რაზეც არჩევნების შედეგებიც მეტყველებს. მართალია, უახლოესი თვეები საკმარისია იმისთვის, რომ მოსახლეობამ საკუთარი შეცდომები იგრძნოს, მაგრამ უკვე გვიან იქნება.

თუ ოლიგარქი პოროშენკო ასე თუ ისე ცდილობდა, შეენარჩუნებინა სახელმწიფო ინსტიტუტები და გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობდა საკუთარი მოსახლეობის წინაშე, მისგან განსხვავებით, ვლადიმერ ზელენსკი „შემწყნარებელი“ ნამდვილად არ იქნება და მისი მომავალი „რეფორმები“ ანგარიშსწორების კამპანიას ვერ გასცდება — ის პირველი დღიდანვე იღებს ვალდებულებას, თავიდან ბოლომდე გააშიშვლოს პოროშენკოს კორუმპირებული რეჟიმი და უკრაინელ ხალხს პურის ნაცვლად სანახაობა შესთავაზოს!

კატეგორიულად არ ვიზიარებ ქართველ ე.წ. ექსპერტთა მოსაზრებას, რომ **ზელენსკი** რუსული პროექტია. თუ ამას ვირწუმენთ, გამოდის, რომ ამერიკამ საბოლოოდ დათმო საკუთარი ინტერესები უკრაინაში და სტრატეგიულ პოლიგონად მოაზრებული რეგიონი საჯიჯგნად ისევ რუსებს ჩაუგდო ხელში...

თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არჩევნებში **ზელენსკის** გამარჯვებით რუსეთმა არ იხეიროს — არ გამოვრიცხავ ახალარჩეული პრეზიდენტის არაშესაბამისი პოლიტიკური ნაბიჯების წყალობით რუსეთმა „მსუყე“ ლუკმა კიდევ მიიღოს!

საქმე ის არის, რომ ამერიკას ერთიანი და ძლიერი უკრაინა იმდენად ადარდებს, რამდენადაც მე ჩინეთის იმპერატორობა, ან თუნდაც ვენესუელას პრეზიდენტობა! **პირიქით, მარტივ მამრავლებად დაშლილ-დაქუცმაცებული უკრაინა უფრო შედის მის ინტერესებში, რადგან დასუსტებული ქვეყნის მოსახლეობა ყოველთვის თვითგადარჩენაზე ფიქრობს, რა დროსაც პატრიოტიზმი და მაღალი იდეალები განზე რჩება.**

ამდენად, იმის თქმა, რომ ვლადიმერ ზელენსკი უკრაინისთვის და უკრაინელებისთვის უფრო კარგი პრეზიდენტი იქნება, ვიდრე, პოროშენკო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცებაც, რომ **ზელენსკის** გამარჯვებამ ხელ-ფეხი გაუხსნა „ნაციონალების“ რევანშს საქართველოში ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ახლად არჩეულ უკრაინის შოუმენ პრეზიდენტს უნიჭო შოუმენი **მიხეილ სააკაშვილი,** მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ უნდა დააკავშირონ უკრაინაში არჩევნების შედეგები პირდაპირ საქართველოსთან, მით უმეტეს, **სანდრა რულოვსის** გამარჯვებასთან ზუგდიდის მერის არჩევნებში?!

ჯერ ერთი, რა დამსახურება აქვს ექსპრეზიდენტ **სააკაშვილს** უკრაინელი შოუმენის არჩევნებში გამარჯვებასთან, გარდა იმისა, რომ **ზელენსკის** მისგან (საკაშვილისგან) შეეძლო, დამატებით ესწავლა ბინძური პოლიტიკური შოუს ელემენტები. მეორეც, უკრაინა უკრაინაა და საქართველო საქართველო!

მით უმეტეს, ჩვენ უკვე ვიწვნიეთ **სააკაშვილის** რეჟიმის მთელი სიმძიმე და არა მგონია, მთლად ისეთი გულუბრყვილო და უღირსებო იყოს ქართველი ერი, უახლოესი ჯოჯოხეთური წარსული დაივიწყოს!

რაც შეეხება ქალბატონ სანდრას და „ნაციონალების“ აღტაცებას ზელენსკის გამარჯვებით, რომელსაც პირდაპირ უკავშირებენ ზუგდიდში ექს-პირველი ლედის წარმატებას, არც ეს მგონია, ახლოს იყოს რეალობასთან.

ადრეც მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: სანდრა რულოვსის ზუგდიდის მერის არჩევნებში გამარჯვება არა მარტო „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მარცხი იქნება (რაც ძალიან არ მადარდებს!), არამედ სრულიად სამეგრელოს მოუშორებელი სირცხვილი — ძველი კოლხეთის შთამომავალთა ღირსების ფეხქვეშ გათელვა, კუთხის ნებაყოფლობითი ხარაკირი! თუმცა, ეს არანაკლები თავის ტკივილი იქნება დანარჩენი საქართველოსთვისაც!

თუ ეს მაინც მოხდა, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ დაწყებულია ახალი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, სადაც მთავარ როლში (ანუ ძირითადი დამნაშავე) ისევ მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი იქნება!

რაც არ უნდა დღევანდელი ხელისუფლების უუნარობაზე იყოს საუბარი, სხვა ალტერნატივა უნდა მოიძებნოს ამ ხელისუფლების ჩასანაცვლებლად, რადგან **„ნაციონალების“** დაბრუნებაზე ფიქრიც კი დანაშაულის ტოლფასია. ეს ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ქართველმა (და საქართველოში მცხოვრებმა ნებისმიერმა მოქალაქემ) უნდა გაიაზროს, თუ არ გვინდა, საკუთარ ქვეყანას ყელი საკუთარი ხელითვე გამოვჭრათ!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

P. S. ცალკე საუბრის თემაა ბოლო დღეებში პანკისში განვითარებული მოვლენები, რომელიც აშკარად მართული პროცესია და მტრის წისქვილზე წყლის მიშვებაა. ხელისუფლების მხრიდან ასეთი მიუტევებელი შეცდომებით სწორედ „ნაციონალები“ ითბობენ ხელს. წვეთ-წვეთად ნაგროვები ნეგატივი კი პირდაპირ ასახვას პოვებს პოლიტიკურ პროცესებზე ქვეყანაში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზუგდიდის მერის მოახლოებულ არჩევნებზეც!

ზემოთ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია უკრაინაში განვითარებული მოვლენების პარალელის გავლება საქართველოსთან. მიუხედავად იმისა, რომ ექსპრეზიდენტი სააკაშვილი ზელენსკიზე არანაკლები შოუმენია, ხელისუფლებაში ყოფნისას და ქვეყნიდან გაქცევის მერეც მან შოუს ილეთები უკვე ამოწურა და არა მგონია, ქართველი ხალხი ისე დაბრმავდეს, რომ ყულფში საკუთარი სურვილით გაყოს თავი!

ვერავინ დამარწმუნებს იმაშიც, რომ ხალხს არაფერი შეუძლია — ხალხს ყველაფერი შეუძლია და მის სისუსტეზე აპელირება მხოლოდ ჩვენი მტრების მოგონილია.

ზ. ნ

რედაქციისგან:

აქვე გთავაზობთ ზაურ ნაჭყებიას უკვე ლექსად გამოთქმულ გულისტკივილიან შეძახილს ზუგდიდელთა გასაგონად!

სუნი მეცა მე ღალატის,

ანუ იქ სატანა შეპარულა!

გუშინ ერთმა საქმეში ჩახედულმა მეგობარმა მითხრა: ზუგდიდში ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდის, რომ შესაძლოა, 19 მაისს სანდრა რულოვსმა გაიმარჯვოსო. უფუნქციო მერის გაცვეთილი სკამი ნაკლებად მადარდებს — მე უფრო დიდი საწუხარი მაქვს...

სუნი მეცა მე ღალატის
(ღმერთო ჩემო, თვალის უპე ამიწვა...)
უფალი არ გვაპატიებს,
თავის კვართის უმოწყალოდ წაბილწვას!

ზეცა თითქოს ითალხება,
გარს აკრავენ შავ სატინის არშიებს...
მიკვირს, რაღა დაემართა
დიდი ქუჯის ამ პატარა ნაშიერს?!

იქ სატანა შეპარულა,
მეშინია, არ გვიმუხთლოს მაისმა...
ხორხოცებენ ჭინკები და...
ვიდრე დროა, ტანზე თაფლი წავისვა!

ორ გროშად თუ გამიმეტებ,
არ დაგინდობ — ენგურს ავხსნი არტახებს...
შენ ლაზიკით გაბრუებენ,
მე ბოლომდე სული გამიპარტახეს!

ჩხოუშია ბორგავს უკვე,
ეხეთქება წყალი უღვთოდ ნაპირებს...
ეშმამ დღეს თუ დაგიმონათ,
დამიჯერეთ, ხვალ ვერ გაინაპირებთ.

ვამაყობდი კოლხის ჯიშით
და... დამქონდა მე ყოველთვის ზურგდიდი...
ოი, როგორ დააბრმავეს
ერთ დროს ჩემი სათაყვანო ზუგდიდი!

როგორ უნდა შეარცხვინო-
შენი მოდგმა, შენი ლაღი ოდიში...
თუ დღეს დანას გამომისვამ,
ვის რად უნდა მერე შენი ბოდიში!

ომი ვიცი მე დუშმანთან,
(რატომ არცხვენ კოლხის ნამდვილ მეომარს...)
შენს მომავალს ეომები,
მაგას სჯობდა, ყვავ-ყორნებთან გეომა!

ქარებს გაჰყვა რაც მებადა,
დე, წაიღოს ისიც, რაც მაბადია...
ღალატს მე თუ გაპატიებ
რას შეუთვლი იქით ცოტნე დადიანს?!

ზაურ ნაჭყებია,
24 აპრილი, 2019

ტედ ჯონასი:

თბილისმა უნდა აირჩიოს, ვენას დაემსგავსოს თუ თეირანს!..

თბილისში კი ჰაერის დაბინძურება, გადაჭარბებული განაშენიანება, საცობები, მწვანე სივრცეების ნაკლებობა, იმდენად მწვავე გახდა, რომ ამ მიმართულებით წნეხი არათუ გარემოსდამცველი აქტივისტებისგან, არამედ ბიზნეს საზოგადოებიდანაც გაიზარდა. ისინი მიხვდნენ, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს ცუდი ხარისხის საწვავთან, ავტომობილების ინსპექციასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. მათი ოჯახის წევრებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ და გარდა ამისა, ისინიც ვეღარ შეძლებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, თუკი თბილისი საცხოვრებლად გამოუსადეგარი ქალაქი იქნება. ეს ამ ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

(მეოთხე გვერდიდან) **— როდესაც ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად სხვადასხვა ნებართვის გაცემა მარტივდება, არის ეს წამახალისებელი პასუხისმგებლიანი საერთაშორისო კომპანიებისთვის, რომ საქართველოში ბიზნესი დაიწყონ, თუ ეს უმეტესად მმართველ პოლიტიკურ ძალასთან დაახლოებული ბიზნეს-ჯგუფების ინტერესებშია?**

— ვფიქრობ ორივეა. 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირიდან გამოყოლილი ბევრი რეგულაცია რჩებოდა, მოქალაქეები ქრთამით გზის გაკვლევას ყოველთვის ახერხებდნენ. სააკაშვილის მთავრობამ ეს შეცვალა და ეს მაშინ მართებული იყო, რადიკალური ტრანსფორმაცია იყო საჭირო. მაგრამ ბევრმა ადამიანმა ეს მიიღო არა როგორც დროებითი ზომა დერეგულაციისა, არამედ, როგორც დოქტრინა ლიბერტარიანული ფილოსოფიისა. შეხედულება, რომ ნებისმიერი ტიპის რეგულაცია არის ცუდი, სისულელეა და ეწინააღმდეგება ადამიანურ გამოცდილებას. დერეგულაციის საპირისპიროდ არსებობს ჯანსაღი რაოდენობის რეგულაცია.

ახლა არსებობს წნეხი გარემოს გამო, ზედმეტი მშენებლობის გამო, დაბინძურების გამო, იმის გამო, რომ ხალხი იწამლება რესტორანში — ქართულ ეკონომიკაში ბევრი რამ ხდება, რასაც სჭირდება რეგულაცია იმისთვის, რომ ხალხი არ მოიწამლოს საჭმლით, რომ წყალი და ჰაერი იყოს უფრო სუფთა და ა.შ.

— არის ასეთი გარემო ბიზნესის განვითარებისთვის მართლაც ხელსაყრელი?

— მეორე ფაქტორი არის ასოცირება, რომელიც ავალდებულებს საქართველოს, ჰქონდეს უფრო მეტი რეგულაცია, რაც საჭიროა უკეთესი და უფრო ჯანსაღი საზოგადოებისთვის. ეს მოკლე ვადაში გარკვეული თანხა ღირს, მაგრამ შორ, გრძელვადიან პერსპექტივაში რეგულირებულ საზოგადოებებს აქვს მეტი კეთილდღეობა, ძალიან ბევრი მიზეზის გამო.

ბევრი სხვადასხვა ფაქტორია, მაგრამ მე მრჩება განცდა, რომ განვითარებულმა ბიზნეს-კომპანიებმა, ანუ ხალხმა, რომლებსაც განვითარებულ, დასავლურ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობის გამოცდილება აქვთ, იციან, რომ რაციონალური რეგულაცია არ იქნება მათი მთავარი პრობლემა ბიზნეს საქმიანობაში. როგორც ადვოკატი, ბევრ უცხოელ ბიზნესმენს ვხვდები. როდესაც ისინი ხედავენ, რამდენად ცოტა რეგულაციაა აქ ყველაფერზე, თავიდან ფიქრობენ, რომ ეს კარგია, მაგრამ შემდეგ შოკირებულნი არიან. განსაკუთრებით ისინი, ვინც ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიდან მოდიან, გვეკითხებიან: კი მაგრამ, არ ფიქრობთ, რომ ეს უნდა რეგულირდებოდეს? გარდა ამისა, „ქართული ოცნებისა“ და ყოფილი მმართველი პარტიის წევრებს შორის თავისუფალ ბაზართან და რეგულაციებთან დაკავშირებით მოსაზრებები იმდენად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, რამდენადაც ამბობენ.

ბევრი მაღალი რანგის პოლიტიკოსი და მთავრობის ამჟამინდელი წევრი სავსებით იზიარებს ლიბერტარიანულ ფილოსოფიას. ისინი ზოგიერთ რეგულაციას უყურებენ, როგორც რაღაცას, რის გაკეთებასაც მათ ევროკავშირი აიძულებს და შიშობენ, როგორი იქნება ბიზნესის რეაქცია. რთულია საქართველოში რეგულაციების მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულების გამომუშავება. გააზრება, რომ გარკვეული ოდენობის რეგულაცია საზოგადოებისთვის სასარგებლოა და ქმნის მეტ ეკონომიკურ სარგებელს, უფრო მეტი კეთილდღეობის მქონე საზოგადოებას, სადაც გარემოც უფრო ჯანსაღია და სადაც მეტ უცხოელ ინვესტორს სურს თანხის ჩადება.

— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ განვითარების პროექტების გადაჭარბებული და ზედმეტი მშენებლობა, როგორც პრობლემა. რამდენად დიდი პრობლემაა ეს თბილისისთვის?

— წინა მთავრობის დროს, მშენებლებს მისცეს საშუალება, გადაეხადათ ფული და ზონირების წესებიდან გამონაკლისი მიეღოთ, რაც წარმოუდგენელია, რადგან ზონირების წესები სწორედ იმიტომ არსებობს, რომ სუფთა ჰაერი და მწვანე სივრცეები გვქონდეს და არა იმიტომ, რომ ვიღაცას შეეძლოს, ფულის გადახდით მიითვისოს ჩემი მწვანე სივრცე და დააბინძუროს ჰაერი. ქალაქის ხელისუფლებამ ახლა შეცვალა ეს წესები და ამ წესების აღსრულებით ამიერიდან შენობები უნდა იყოს ლანდშაპტთან და გარემოსთან შესაბამისობაში. თუმცა კვლავ პრობლემად რჩება ის, რომ ზოგიერთი დიდი მასშტაბის ნაგებობაზე ნებართვას ეკონომიკის სამინისტრო გასცემს და ამ წესებისთვის გვერდის ავლა ხერხდება.

თბილისში კი ჰაერის დაბინძურება, გადაჭარბებული განაშენიანება, საცობები, მწვანე სივრცეების ნაკლებობა, იმდენად მწვავე გახდა, რომ ამ მიმართულებით წნეხი არათუ გარემოსდამცველი აქტივისტებისგან, არამედ ბიზნეს საზოგადოებიდანაც გაიზარდა. ისინი მიხვდნენ, რომ რაღაც უნდა გაკეთდეს ცუდი ხარისხის საწვავთან, ავტომობილების ინსპექციასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. მათი ოჯახის წევრებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ და გარდა ამისა, ისინიც ვეღარ შეძლებენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, თუკი თბილისი საცხოვრებლად გამოუსადეგარი ქალაქი იქნება. ეს ამ ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

ის, რომ თბილისი უფრო მეტად ჰგავდეს ევროპულ ქალაქებს, ნიშნავს, რომ უნდა ჰქონდეს კარგი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კარგი ტროტუარები, კარგი სასეირნო ადგილები, დაბინძურებისა და მანქანების რაოდენობის კონტროლი, განვითარების კონტროლი. გვინდა რომ ვგავდეთ ვენას, თუ სტამბოლსა და თეირანს. ესაა თბილისის წინაშე არსებული შეკითხვა. ახლა ვართ იმ ეტაპზე, როდესაც ეს შეიძლება წავიდეს ნებისმიერ მხარეს. დიდი ზიანია მიყენებული, მაგრამ სრულად განადგურებული არ არის. თბილისი შეიძლება კვლავ განვითარდეს იმ მიმართულებით, რომ ბერლინს და ვენას ჰგავდეს, ან პირიქით, დაემსგავსოს სტამბოლსა და თეირანს, სადაც ყოველი წერტილი, სივრცე ათვისებულია და ცუდი ჰაერია. როგორც წესი, ქართველები უფრო ევროპულ გზას ირჩევენ ხოლმე, რათა უფრო ევროპული საზოგადოება და უფრო ევროპული ცხოვრება ჰქონდეთ.

— თქვენ ხშირად აკრიტიკებთ „პანორამა თბილისის“ პროექტსაც. გაწუხებთ მისი ქალაქგანვითარების წესებთან შეუსაბამობა თუ ეკონომიკურ ნაწილთანაც გაქვთ კითხვები?

— ჩემი კრიტიკა „პანორამა თბილისისა“ და მისი მავნე ტყუპისცალის, თაბორის მთის პროექტის მიმართ ძლიერია და მრავალმხრივი. ეს პროექტები არღვევს თბილისის განაშენიანების წესებს, რომლებიც 80-იანი წლებიდან მოქმედებდა. ამ ლანდშაფტის ნაწილებს რეკრეაციული ზონის სტატუსი შეუცვალეს და იქ განაშენიანება დასაშვები გახადეს. თაბორის მთის პროექტისთვის ეროვნული მემკვიდრეობის ძეგლს — ბოტანიკურ ბაღს მოაკლეს მიწა და გადასცეს პროექტს. თავისუფლების მოედანზე კი სასტუმროს მშენებლობა ძველი თბილისის განვითარების წესების სრული დარღვევით დაიწყო. წინა ხელისუფლებამ იგივე გააკეთა სასტუმრო „ბილტმორის“ შემთხვევაშიც, და ეს ახლაც გრძელდება.

— როგორ ფიქრობთ, ეს ტენდენციაა? ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები იღებენ გამონაკლისებს. თუ ეს კვლავ სტრატეგიული განვითარების ხედვის ნაკლებობას უკავშირდება?

— ჩემი აზრით, ეს არაა ტენდენცია და ვიმედოვნებ, მეტი დიდი პროექტი არ აშენდება. ასევე ვიმედოვნებ, რომ ტენდენცია სხვა მიმართულებით წარიმართება. ქალაქის ახალმა მერმა ზონირების ახალი რეგულაციები წარმოადგინა, შეიძინეს ახალი, ეკოლოგიურად უფრო სუფთა ავტობუსები, არის მცირე პროგრესი, სულ მცირე მცდელობა მაინც. დაიწყო ავტომობილების სავალდებულო ინსპექტირება. კიდევ ბევრი უნდა გაკეთდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მერი ცდილობს, მართებულად მოიქცეს.

— ბოლო წლებში გარემოსდაცვითი საკითხები ქალაქის ხელისუფლების — მერისა და საკრებულოს წევრების — არჩევნებში ერთ-ერთი წამყვანი საკითხი გახდა. როგორ ფიქრობთ, ნიშნავს ეს იმას, რომ პოლიტიკოსები საზოგადოებისგან ამის მოთხოვნას ხედავენ?

— გარკვეულწილად ეს ნამდვილად არის გარემოსდაცვითი აქტივიზმის წარმატება, რომელთაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ. ქუჩის აქტივიზმი პრობლემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მობილიზაციას ახდენს. თუმცა მაინც მგონია, რომ აუცილებელია ადმინისტრაციულ პროცესებში მეტი ჩართულობა. აქტივისტები და მოსახლეობა, ცხადია გამონაკლისების გარდა, იშვიათად თუ იყენებს იმ საშუალებებს, როგორიცაა საჯარო განხილვებში მონაწილეობა, ნებართვის გაცემამდე ადმინისტრაციული ორგანოსთვის წერილის მიწერა და ა.შ.

ამასთან, მგონია, რომ თბილისში არსებული მდგომარეობით, განსაკუთრებით კი ჰაერის დაბინძურებით ბიზნესის წარმომადგენლებიც შეწუხდნენ. ამ თემაზე ფიქრი ელიტებმაც დაიწყეს და შესაძლოა ნაწილობრივ ამიტომაც გაიზარდა წნეხი.

რაც შეეხება პროცედურული საშუალებების გამოყენებას, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიონზე გზების გადატარების შესახებ პროექტს, სწორედ ასე, ბევრი სხვადასხვა საშუალებით დავუპირისპირდით, შევქმენით და გავავრცელეთ პეტიცია, გამოვიყენეთ პოლიტიკური ინსტრუმენტები, საუბარი დონორ ორგანიზაციებთან, საპარლამენტო კომიტეტთან და ა.შ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გზის პროექტის სამი ცუდი ნაწილიდან, რომელიც ეროვნულ პარკებს კვეთდა, ხელისუფლებამ ორზე უარი თქვა. ხევსურეთიდან როშკასკენ მიმავალი — ჯერ კიდევ ძალაშია და ჩვენც ისევ ვიბრძვით.

ესაუბრა
ეკა მაღალდაძე

ევროკავშირი საქართველოში 3 პროექტის განხორციელებას იწყებს

ევროკავშირი საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, რათა გააუმჯობესოს გარემო და კლიმატის ცვლილების საკითხი როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე მოაგვაროს.

ამ დღეებში ევროკავშირი საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორში სამ ახალ პროექტს იწყებს. ისინი საქართველოში ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მრავალრიცხოვან ქმედებებს ემატება და ყურადღებას წყალმომარაგების და სანიტარიული სისტემების რეაბილიტაციაზე, თანამედროვე ნაგავსაყრელების მშენებლობაზე, სამრეწველო დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაზე, ტყეების დაცვაზე, გაუმჯობესებული გარემოს საშუალებით ჯანდაცვასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს.

სამი გარემოსდაცვითი პროექტის დაწყება გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროკავშირის მეწინავე როლის დადამადასტურებელია. ეს ახალი ინიციატივები დაეხმარება საქართველოს, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სექტორებში და ხელს შეუწყობს გარემოსა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის უკეთესად დაცვას.

მაცხოვრობას აქ იშვიათად იბრალებენ

რეპორტაჟი იერუსალიმის კლინიკიდან, სადაც „წმინდანებსა“ და „წინასწარმეტყველებს“ კურნავენ

ნახევარ საუკუნეზე გაცილებით მეტი ხნის მანძილზე წმიდა მიწაზე 1951 წელს ამოქმედებულ ამ საავადმყოფოში არაერთი „ღვთისმშობლისთვის“ „წმინდა მოციქულთათვის“, რამდენიმე „იოანე ნათლისმღებლისთვის“, აგრეთვე ასეულობით „ღვთის მსახურისთვის“, „პატრიარქისთვის“ და ა.შ. უმკურნალიათ, რომლებსაც ერთი მეტად იშვიათი ფსიქიკური სნეულება – ებრეთ წოდებული **იერუსალიმის სინდრომი** სჭირდათ.

– ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამამახსოვრდა: ბეთლემში ჩასული ტურისტი ჭკუიდან შეიშალა, არაბულ ბაზარში თეთრი ვირი იყიდა, ზედ შეჯდა და, ქრისტეს მსგავსად, ქადაგება-ქადაგებით იერუსალიმის ძველ ქალაქში შესვლა დააპირა, – ამბობს ფსიქიატრიული კლინიკის „ქფარ-შაულის“ დირექტორის მოადგილე, **დოქტორი ალექს ტეიტელბაუმი**. – ბუნებრივია, რომ ისრაელისა და პალესტინის საკონტროლო-გამტარ პუქტზე ის ჯარისკაცებმა დააკავეს. კაცმა ლანძღვა-გინება და აყალმაყალი ატეხა, რის გამოც მას ვირიც ჩამოართვეს და ჩვენს საავადმყოფოშიც მოათავსეს...

„ქფარ-შაულის“ კლინიკა ბოლო დრომდე მსოფლიოში ერთადერთ სამედიცინო დაწესებულებად ითვლებოდა, სადაც იერუსალიმის სინდრომიან ავადმყოფებს მკურნალობდნენ. ამ სენის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იერუსალიმში ჩასული კაცი უცბად, წმინდა ქალაქის ზეგავლენით, საერთო შთაბეჭდილებით, მოულოდნელად თავს უფლის წარგზავნილად, მოციქულად, ანდა, სულაც, იესო ქრისტედ, ან ქალწულ მარიამად მიიჩნევს.

ეს სნეულება ბევრს არ ემართება – სტატისტიკას თუ ვენდობით, 1980-1993 წლებში იერუსალიმის სინდრომით შეპყრობილი სულ 470 უცხოელი მოქალაქე იყო ჰოსპიტალიზებული.

– პაციენტების მოჭარბების ბოლო პიკი სწორედ მილენიუმს, 2000 წელს დაემთხვა, ანუ 19 წლის წინ მოხდა, როცა საავადმყოფოში ათობით ადამიანი მოიყვანეს, – განაგრძობს დოქტორი ტეიტელბაუმი. – ამჟამად კი კლინიკაში პაციენტის ჭაჭანება არ არის – ბოლო პაციენტი, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ქალბატონი ცოტა ხნის წინათ გაეწერა. ეს ტურისტი ქალი იერუსალიმში იმის გამო ჩამოვიდა, რომ ზმანება ჰქონდა, თითქოს იგი ვალდებულია, მოაწყოს მამაზეციერისა და ინგლისის დედოფლის ელისაბედ II-ის შეხვედრა.

ისე კი უნდა ითქვას, რომ იესო ქრისტედ თავს ძალიან იშვიათად აცხადებენ, სამაგიეროდ, მაცხოვრის „თანამოაზრეები“, განსაკუთრებით კი მოციქული პავლე და იოანე ნათლისმცემელი, საკმაოდ ბევრნი არიან. მრავალნი იყვნენ ასევე ახალგაზრდა ქალიშვილები – „ნეოფიტები“, რომლებსაც სულ ცოტა ხნის წინათ გულწრფელად სწამდათ, რომ მათში ქალწული მარიამი ჩასახლდა. ესენი, ძირითადად, პატარ-პატარა ქალაქების ბინადრები იყვნენ, რომლებიც საზღვარგარეთ პირველად მოხვდნენ. ამგვარ „გარდასახვებში“ ერთგვარი „თეატრალურობისა“ და „თავის წარმოჩენის“ მომენტები სჭარბობდა. ადამიანი თეთრ ზეწარში ეხვევა, ფეხშიშველა დაიარება ქუჩა-ქუჩა და „ქადაგებს“. ასეთ პაციენტებს, ჩვეულებრივ, მალე-ვე, სულ რაღაც 3-4 დღეში ვკურნავთ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ შემთხვევები, როცა იერუსალიმში ჩამოსულ, გარეგნულად თითქოსდა ნორმალურ უცხოელს, მოულოდნელად თავი მოციქულად, წინასწარმეტყველად, ან იესო ქრისტედ გამოეცხადებინოს, ადრეც მომხდარა. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ფსიქოზის ამ სახეობაზე ციურიხელი დომინიკანელი ბერი ფელიქს ფაბერი და მომლოცველი ქალბატონი მარჯერი კემპე მიუთითებდნენ. დაწვრილებით ეს სნეულება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფსიქიატრმა **ჰაინც ჰერმანმა** აღწერა. „ქფარ-შაულის“ ექიმთა მონაყოლით, იერუსალიმის სინდრომის ორი სახეობა არსებობს. **პირველი** ასეთია: ვთქვათ, ზის კაცი თავის სახლში თუ სამსახურში და უცბად გარედან ხმა ესმის: „შენ უნდა ჩახვიდე წმინდა ქალაქში და უფლის მითითება შეასრულო, რათა იესო ჩვენ ცოდვიან მიწას მოევლინოს“. **მეორე** ვარიანტი კი ასეთია: ისრაელში შორიდან ტურისტი ჩამოდის, რომელსაც ჯეთლაგი (საათობრივ სარტყელთა შეცვლით გამოწვეული ძილის აშლილობა) სჭირს. იგი გზაში ძლიერ დაიღალა და გულწრფელად სწამს, რომ ახლა იმ ქვებს ადგამს ფეხს, რომლებითაც ოდესღაც მაცხოვარი დაბრძანდებოდა. ამ ვითარებაში ეგზალტირებულ, ნერვულ პირებს ფსიქიკა ერთიანად ერევა, საქმე კაშკაშა ჰალუცინაციამდეც მიდის.

იერუსალიმის სინდრომი დამაწყნარებელი პრეპარატებით, ასევე პაციენტთან მის მშობლიურ ენაზე ფსიქოთერაპევტის გასაუბრებით იკურნება: ამ ხერხით ადამიანი გონს უფრო სწრაფად ეგება. „ქფარ-შაულში“ მკურნალობა ყველასთვის მუდამ ფასიანია – ერთი დღე-ღამის გატარება დაახლოებით 300 დოლარი ღირს. ამიტომ, თუკი „წმინდანს“ სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, მისთვის სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე შინ დასაბრუნებელ ბილეთს იძენენ და „საკუთარ“ ფსიქიატრებს უბრუნებენ.

– ერთი მეტად კოლორიტული კანადელი გვყავდა, რომელმაც თავი იოანე ნათლისმცემლად წარმოიდგინა, – იხსენებს „ქფარ-შაულის“ მიმღები განყოფილების გამგე **გრიგოლ კაცი**. – იგი ისრაელში ჩამოვიდა, წლების მანძილზე იერუსალიმის არაბულ ნაწილში ცხოვრობდა. ეს ჭაღარა ფაფრიანი კაცი გამუდმებით ქადაგებდა. მერე არაბული არეულობა დაიწყო, მას რელიგიური ფანატიკოსები დაესხნენ თავს და ჩვენთან უმოწყალოდ ნაცემი მოიყვანეს, მაგრამ ნათლისმცემელი ქადაგებას საავადმყოფოშიც განაგრძობდა. ჩვენ მისი ვინაობის დადგენას ვერაფრით ვახერხებდით, მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა. წამლების ზემოქმედების ქვეშ „იოანეს“ შემთხვევით თავისი ნამდვილი სახელი წამოსცდა, რის მეშვეობით ინტერნეტით მის ოჯახს კანადაში მივაგენით, რომელსაც იგი 20 წელი არ ენახა...

ცოტა ხნის წინათ კი კლინიკაში ერთი იტალიელი მოიყვანეს, რომელიც მაცხოვრის საფლავის საყდართან საკუთარი თავის დასაჭურისებას აპირებდა. როგორც ჩანს, მან სიტყვა-სიტყვით გაიგო ახალ აღთქმაში ნათქვამი, რომ საჭიროა „სიბილწისგან განწმენდა“, ანუ მისი „მოკვეთა“. მოგვიანებით, მას შემდეგ რაც იგი გამოჯანმრთელდა და მომხდარს იუმორითაც შეხედა: „სიბილწის“ მოკვეთა მან ბოლომდე ვერ მოასწრო და კვლავ მისთვის ბუნებით განკუთვნილ ადგილზე მიაკერეს.

კიდევ ერთი სტანდარტული ინციდენტი ასეთია: კაცს ფსიქოზი აქვს, იესოს მაგალითით შთაგონებული, მუსლიმანებთან ან ებრაელებთან მიდის და მათ ქრისტიანებად მოქცევას ცდილობს და მაშინვე ერთი ამბავი ტყდება, პოლიციას ეს პირი ჩვენთან მოჰყავს და თუმცა ის საშინლად ბობოქრობს, მის მკურნალობას ვიწყებთ.

* * *

ფსიქიატრიული საავადმყოფო ყოფილი არაბული სოფლის დეიერ-იასინის ტერიტორიაზეა განთავსებული, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია XVIII-XIX საუკუნეების რამდენიმე ნაგებობა: ერთ-ერთ მათგანში უწინ საჯინიბო იყო, მთავარი შენობა მესრითაა შემოღობილი, ფანჯრებზე კი გისოსებია – სულიერად დაავადებულთა შორის ყველანაირი ხალხია. შიგნითაც ყველაფერი საფუძვლიანადაა მოწყობილი. მაგალითად, მინები პოლიმერებისგანაა დამზადებული, რომლებიც ძლიერი დარტყმის შედეგად უწვრილეს ნატეხებად იმსხვრევა და იარაღად მათი გამოყენება შეუძლებელია, განყოფილებებს შორის სამოძრაოდ ელექტრონული საშვებია. კედლებზე პროფესიონალ მხატვართა სტილში შესრულებული ნახატები ჰკიდია, რომლებიც პაციენტების შექმნილია – **ხატვა ძალიან კარგად მოქმედებს ადამიანთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე**.

ერთ-ერთ განყოფილებაში, 1969 წლიდან 1974 წლამდე ავსტრალიელი მომლოცველი დენის მაიკლ როჰანი იწვა, რომლის საქციელმა თავის დროზე ლამის მესამე მსოფლიო ომი გამოიწვია. **მან სცადა სასაყდრო მთაზე ალ-აქსას მეჩეთის დაწვა, რა დროსაც თავი „უფლის წარგზავნილად“ გამოაცხადა. ამ ინციდენტს მასობრივი არეულობა მოჰყვა, 24-მა მუსლიმანურმა ქვეყანამ გაეროში საჩივარი შეიტანა და მომხდარი ისრაელის უშიშროების სამსახურის „მოსადის“ ნამოქმედრად გამოაცხადა.**

გასაოცარია, მაგრამ იერუსალიმის სინდრომი გაცილებით იშვიათობაა მორწმუნე ებრაელებში და კიდევ უფრო ნაკლებად – მორწმუნე მუსლიმანებში.

– მართალია, იერუსალიმი ისლამისთვის დიდად მნიშვნელოვანი ადგილია, მაგრამ მისი მთავარი სიწმინდე მაინც მექაა, ამდენად, იმის გარკვევაც უაღრესად საინტერესო იქნებოდა, თუ რა ხდება იქ ამ თვალსაზრისით, – ამბობს დოქტორი ტეიტელბაუმი.

ზოგადად კი, წმინდა ადგილზე რელიგიური ეგზალტაცია ჩვეულებრივი ამბავია. აღდგომის დღეებში იერუსალიმის ძველ უბანში რომ გაიაროთ, უამრავ „წმინდანსა“ და „წინასწარმეტყველს“ ნახავთ. ჩვენთან საავადმყოფოში მხოლოდ ის ხალხი მოჰყავთ, ვინც გარშემო მყოფთათვის საფრთხეს წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში პოლიცია საქმეში არ ერევა.



მოამზადა
ოთარ
ტურაბელიძემ

საკეისრო კვეთის შეზღუდვამ სერიოზული პრობლემები შექმნა

„ექიმთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია“ მოითხოვს საკეისრო კვეთისთვის დაწესებული პროცენტული ზღვრის გადაცილების შემთხვევაში სამშობიარო კლინიკების დაჯარიმება შეჩერდეს.

ორგანიზაცია 2016 წელს ამოქმედებული კანონის გაუქმებას ითხოვს და საკონსტიტუციო სასამართლოში შესატან სარჩელს ამზადებს.

„მაგალითად, 40%-იანი ზღვრის შემთხვევაში, თუ საავადმყოფოში საკეისროების რაოდენობა არის 41%, საავადმყოფო ჯარიმდება არა გადაცილებული 1%-ის, არამედ მთლიანად 41%-ისათვის. ექიმი შეშინებულია, რომ არ გადააცილოს ზღვარს, ამიტომ ცდილობს, ორსული ფიზიოლოგიურად ამშობიაროს. ამის შედეგად ხშირია გართულებული მშობიარობის ფაქტები“, — ამბობს სალომე ლოლუა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კლინიკებსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე, საკეისრო კვეთისთვის ნებადართული ზღვარი სხვადასხვა კლინიკისთვის სხვადასხვაა.

სალომე ლოლუას თქმით, 2016 წელს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებულების საფუძველზე ამოქმედებულმა დაჯარიმების წესმა არაერთი სამშობიარო სახლის დახურვა გამოიწვია და საკეისრო კვეთების რაოდენობის შემცირების ნაცვლად გააჩინა „მორბენალი მშობიარეები“.

მისი განცხადებით, ფეხმძიმე ქალები, რომლებიც სამშობიარო კლინიკების დაწესებულ პროცენტულ ზღვარში ვერ ხვდებიან, სასიცოცხლოდ აუცილებელი ოპერაციის ჩასატარებლად სხვა კლინიკებს ეძებენ.

„ექიმთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის“ თავმჯდომარე სალომე ლოლუა ამბობს, რომ საქართველოს მასშტაბით საკეისრო კვეთის პროცენტული რაოდენობა გაცილებით აღემატება „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის“ მიერ რეკომენდებულ 10-15 %-იან ზღვარს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, სამეგრელო-ზემო სვანეთში საკეისრო კვეთების რაოდენობა 51%-ია, იმერეთში — 41 %, აჭარაში — 40 %, თბილისში — 37 %, კახეთში — 38,5 %.

სალომე ლოლუას აზრით, საკეისრო კვეთების რაოდენობის შემცირება აუცილებელია, მაგრამ არა მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, რადგან, მისი თქმით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ წამოწყებული პოლიტიკით:

- არ შემცირებულა საკეისრო კვეთების რაოდენობა;
- გაიზარდა ჩვილ ბავშვთა ტრავმული დაზიანებები და სიკვდილიანობა;
- გაიზარდა ჰისტეროქტომიის შემთხვევები, ანუ მრავალმა ქალმა გართულების შედეგად საშვილოსნო დაკარგა.

ორგანიზაციის ინიციატივაა, რომ ორსულებმა, რომლებიც საკეისრო კვეთას საკუთარი სურვილით მიმართავენ, ოპერაცია თვითონ დაიფინანსონ, სახელმწიფო სახსრები კი საჭიროებისამებრ დაიხარჯოს.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო მშობიარობას 500 ლარით, ხოლო საკეისრო კვეთას 800 ლარით აფინანსებს. იმ შემთხვევაში, თუ საკეისრო კვეთა კეთდება არა სამედიცინო ჩვენების (როდესაც ფიზიოლოგიური მშობიარობა დედის ან ბავშვის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს), არამედ მშობიარის მოთხოვნით, სახელმწიფო 800 ლარის ნაცვლად იხდის 500 ლარს.

პირველი სამედიცინო ცენტრის მეანგინეკოლოგი ზაზა ავალიანი ამბობს, რომ ჰქონიათ შემთხვევები, როდესაც, ჯარიმისგან თავის არიდების მიზნით, პაციენტისთვის საკეისრო კვეთაზე უარი უთქვამთ:

„პირველი სამედიცინო ცენტრის შემთხვევაში, ზღვარი 31%-ია. ვეთანხმებით სამინისტროს, რომ უნდა შემცირდეს საკეისრო კვეთები, თუმცა უბედურება ის არის, რომ შეზღუდული ვართ პროცენტებით. პაციენტისთვის გვითქვამს, რომ ჩვენს დაწესებულებაში მისი მოთხოვნა ვერ შესრულდებოდა და სხვაგან გადაგვიმისამართებია, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეიცავდა საფრთხეს“.

ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი მარინა დარახველიძე ამბობს, რომ საქართველოში საკეისრო კვეთების რიცხვი 44 %-ს აღემატება. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეს, რომ საკეისრო კვეთების რიცხვი სამედიცინო დაწესებულებებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე დაერეგულირებინათ.

„ანალიზის საფუძველზე ვნახეთ, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში საკეისრო კვეთების რიცხვი 70-80 %-ს აღემატებოდა. ვისაც საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, წლის განმავლობაში მას უფრო მეტი პროცენტით უნდა შეემცირებინა, ვისაც ნაკლებით ჰქონდა, — უფრო ნაკლებით. შეუძლებელია ორ წელში ერთი ხელის მოსმით შემცირდეს ამ დაწესებულებებში საკეისრო კვეთების პროცენტული რაოდენობა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციით დაწესებულ სტანდარტს გაუტოლდეს“, — ამბობს მარინა დარახველიძე.

მისივე თქმით, პირველი წელი რთული იყო, თუმცა წინასწარი ანალიზი აჩვენებს, რომ საკეისრო კვეთების რაოდენობამ 2,9 %-ით დაიკლო.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საკეისრო კვეთის პირობების შემცველი ხელშეკრულებები სამშობიარო დაწესებულებებთან 2017 წლის მარტიდან დაიდო.

ციცა გურგენიძე

◎ ვინ გვიშველის?!

ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობამ მოიმატა



საქართველოს რომელ რეგიონშია ყველაზე მაღალი მაჩვენებელი?!

დაავადებათა კონტროლის ცენტრმა საქართველოში ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის დასადგენად ჩატარებული მასშტაბური ეროვნული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა მერყეობს 5-10 მკგ/დლ (მიკროგრამი დეცილიტრზე) ფარგლებში, რაც მიუთითებს მსუბუქ მატებაზე, ხოლო ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს.

2018 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში საქართველოში მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) ფარგლებში, რომელიც შინამეურნეობების ყველაზე დიდი კვლევაა მსოფლიოში, პირველად ჩატარდა ტყვიის კომპონენტის კვლევა. ტყვიის დონის განსასაზღვრად, ვენური სისხლის სინჯები შეგროვდა 2-7 წლის 1578 ბავშვისგან საქართველოს მასშტაბით. ბავშვების კვლევაში ჩართვა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და სინჯები გაიგზავნა იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში (ISS), რომელიც წარმოადგენს ევროპის წამყვან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტს.

ტყვიის შემცველობაზე სისხლის ნიმუშის კვლევისას გამოყენებული იყო ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი (ICP MS), რაც წარმოადგენს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ საუკეთესო სტანდარტს. ტყვიის მინიმალური, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმში არ არის დადგენილი. თუმცა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციების შესაბამისად, სხვადასხვა მასშტაბის საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს, როდესაც ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს.

„გაეროს ბავშვთა ფონდი, ცხრა დონორ ორგანიზაციასთან ერთად, დაეხმარა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, კვლევის ჩატარებაში, რომლიც მიზანიც პრობლემის მასშტაბების განსაზღვრა იყო. ჩვენ ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ პრობლემის მიმართ გამოჩენილ ყურადღებას და მთავრობის მზაობას, შეიმუშაოს რეაგირების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიები და ღონისძიებები. შემდეგი ნაბიჯი ტყვიის ზემოქმედების წყაროების კვლევა უნდა იყოს“, — განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილემ გოტფრიდ ჰანემ.

ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გადაგმულია პირველი პრაქტიკული ნაბიჯები: 2018 წლის 29 დეკემბერს დამტკიცდა გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული გეგმა (NEHAP); 2019 წლის 19 აპრილს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება „ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის ღონისძიებების შესახებ“; მომზადებულია ცვლილება „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებაში ტყვიის კომპონენტის გათვალისწინებით; დამტკიცდა ბავშვებში ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების ადრეული გამოვლენისა და მართვის კლინიკური პროტოკოლი; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმთელობის ეროვნული ცენტრის, იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-პედიატრებისა და გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მიერ შესწავლილ იქნა იმ 16 ბავშვის ოჯახი, რომელთა სისხლშიც ტყვიის დონე აღემატებოდა 30 მკგ/დლ-ს და დაიგეგმა შესაბამისი ინტერვენციები.

მთავრობა მუშაობს ტყვიის ტოქსიკური ზემოქმედების აღმოფხვრის ყოვლისმომცველ სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს ტყვიით დაბინძურების წყაროების კვლევას; მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ღონისძიებებს ტყვიით დაბინძურებული ადგილების განეიტრალების, იზოლაციისა და მართვის მიზნით; საბაზრო მიმოქცევაში ტყვიით დაბინძურებული პროდუქტების მოხვედრის პრევენციას და საზოგადოების ინფორმირებისკენ მიმართულ საინფორმაციო კამპანიებს.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა საქართველოში ჩაატარა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და იტალიის ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის (ISS) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ბავშვებში სისხლში ტყვიის შემცველობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის რეგიონში აღირიცხა.

სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს:

აჭარა — 85%; გურია — 73%; თბილისი — 30%; იმერეთი — 61%; კახეთი — 25%; მცხეთა-მთიანეთი — 20%; სამეგრელო, ზემო სვანეთი — 71%; სამცხე-ჯავახეთი — 32%; ქვემო ქართლი — 18%; შიდა ქართლი — 21%.

სულ: 41%

ბავშვებში სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს:

აჭარა — 50%; გურია — 44%; თბილისი — 7%; იმერეთი — 23%; კახეთი — 4%; მცხეთა-მთიანეთი — 6%; სამეგრელო, ზემო სვანეთი — 29%; სამცხე-ჯავახეთი — 12%; ქვემო ქართლი - 6%; შიდა ქართლი — 4 %.

სულ: 16 %.

სოციალურად დაუცველ დევნილ ბენეფიციარებს საალდგომო საჩუქარი გადაეცათ

ზუგდიდში შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკის“ ინიციატივით ლაღიძისა და ბარამიას ქუჩებზე მცხოვრებ 25 სოციალურად დაუცველ უკიდურესად შეჭირვებულ დევნილ ბენეფიციარებს საალდგომო საჩუქარი გადაეცათ. საქველმოქმედო აქციაში პოლიკლინიკის დირექტორი ოთარ შენგელია და თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

აქცია პერნამენტულ ხასიათს ატარებს და მომავალშიც გაგრძელდება.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ქუთაისში საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების პოლიტიკასა და რუსეთთან არსებულ პრობლემებზე მსჯელობდნენ.

ამჯერად ამ თემებს გიდებისა და ტურიზმის სფეროში დასაქმებული სხვა ადამიანების მონაწილეობით განიხილავდნენ. მათთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით სასწავლო კურსი — „ტურისტული დიპლომატია, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი“ გაიმართა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტორებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის სწორად მიწოდების აუცილებლობას. „საქართველოს ახალგაზრდა გიდების ასოციაციის“ ხელმძღვანელის **ლაშა ბერეკაშვილის** თქმით, რუს ტურისტებთან ოკუპაციაზე საუბარი ხშირად იწვევდა მათ უკმაყოფილებას, ტურისტული სააგენტოებისგან გიდების შეცვლასაც კი მოითხოვდნენ და ანტირეკლამითაც იმუქრებოდნენ, რის გამოც ტურიზმის სექტორში დასაქმებულებმა საჭიროდ ჩათვალეს დახმარებისთვის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მიემართათ. ლაშა ბერეკაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, ამ საკითხში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს ჰქონდეთ საერთო პოზიცია, სახელმწიფოს პოლიტიკის თანხვედრი, რომ უცხოელ ტურისტებს სწორი ინფორმაცია მიეწოდოთ: **„რადგან სახელმწიფო უწყებები ჩაერთვნენ ამ პროცესებში, აღარ გახდება საჭირო გიდის ჩანაცვლება მსგავსი პრეტენზიების დროს, რადგან ყველანი ვსაუბრობთ ოკუპაციაზე და ეს მნიშვნელოვანი საინფორმაციო „იარაღია“, რათა რუსეთის ფედერაციიდან შემოსული ტურისტები იღებდნენ სწორ ინფორმაციას“.**

ქუთაისთან მდებარე სასტუმრო „შატო გელათის“ მფლობელი **იოსებ კენჭაძე** ამბობს, რომ სპეციალური სასწავლო კურსი საჭირო ინიციატივაა, მით უმეტეს, რომ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გამოცდილებას უზიარებენ დიპლომატები და ელჩები, რომლებსაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. იოსებ კენჭაძის დაკვირვებით, „საქართველოს მდგომარეობით და პოლიტიკური კურსით ინტერესედებიან როგორც რუსი ტურისტები, ასევე ვიზიტორები ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან და ევროპიდან“. როგორც იოსებ კენჭაძე ამბობს, ვიზიტორთა მომსახურებისას მას არაერთხელ მოუხდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე საუბარი და განმარტება, თუ რატომაა რუსეთი ოკუპანტი. სასტუმროს მფლობელი მიიჩნევს, რომ ტურიზმის სფეროში დასაქმებულები საკუთარი ქვეყნის დესპანები არიან და მნიშვნელოვანი როლი აქვთ ტურისტების სწორად ინფორმირებაში. უცხოელი ვიზიტორებისთვის რუსული ოკუპაციის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად საკუთარ ხერხს იყენებს ტურისტული სააგენტოს ნ-თრეველის წარმომადგენელი დავით კაკურიძე. იმისათვის, რომ ტურისტები დაარწმუნოს, ის მათ ესაუბრება ფაქტებით, ფოტოებითა და ოკუპაციის ამსახველი ვიდეომასალით: **„ვაძლევ ტურისტებს საქართველოს რუკას. რუსი ვიზიტორებისთვისაც მიმიცია და მიმითითებია, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო ოკუპირებულია. რუკა, მისივე ენაზე მიწოდებული ინფორმაციით, მგონია, რომ მეტად სამახსოვრია, ვიდრე მხოლოდ სიტყვები“.**

ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში მთავარი საგარეო უწყება ტურისტულ სექტორში დასაქმებულებს უზიარებს ერთიან ხედვას, რითაც სახელმწიფო სტანდარტი იქმნება.

იმის გათვალისწინებთ, რომ საქართველოში ტურისტების რიცხვი იზრდება, გიდების გადამზადებას საჭიროდ მიიჩნევს საქართველოს ყოფილი ელჩი უკრაინაში, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი **მიხეილ უკლება**. მისი შეფასებით, ტურისტული მომსახურების სფეროში დასაქმებულთა გადამზადება ხელს შეუწყობს ქვეყნის პოპულარიზაციას: **„გიდმა უნდა იცოდეს და ტურისტს აუხსნას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები. გასულ წელს 1 404 000 ვიზიტორი ჩამოვიდა რუსეთიდან, ამიტომ რუს ტურისტებსაც უნდა ვუჩვენოთ, რა არის ცუდი და რა — კარგი. დადებითი ფაქტები თუ იყო ისტორიაში, უამრავი ცნობილი რუსი პოეტი ჩამოდიოდა საქართველოში, ქართველი პოეტებიც მეგობრობდნენ მათთან და პოზიტივიც არის. უნდა ვაჩვენოთ მაგალითი, რა მოაქვს ომს და რა — მეგობრობას“,** — აცხადებს მიხეილ უკლება.

ქუთაისში მიმდინარე სასწავლო კურსს, რომელსაც ტურიზმის სექტორში დასაქმებულები და გიდები ესწრებოდნენ, სახელმწიფო სტანდარტის დამკვიდრებად თვლის ქუთაისის ტურიზმის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი **მარი დევიძე**. მისი ინფორმაციით, შეხვედრები, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით, კერძო სექტორის მოთხოვნით იმართება, რაც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი მესიჯების გასავრცელებლად თანამშრომლობის კარგი პრეცედენტია: **„ვერთიანდებით და ერთიან მესიჯებს ვაგზავნით. ეროვნულ შეთანხმებას ჰგავს ეს ყველაფერი. ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში მთავარი საგარეო უწყება ტურისტულ სექტორში დასაქმებულებს უზიარებს ერთიან ხედვას, რითაც სახელმწიფო სტანდარტი იქმნება“.**

სასწავლო კურსის ფარგლებში შეხვედრები უკვე გაიმართა თბილისსა და ბათუმში. მალე იგეგმება გზამკვლევის შექმნა, რომელშიც განთავსდება ინფორმაცია ყველა იმ აქტუალურ შეკითხვაზე, რომელიც ტურიზმის სექტორში დასაქმებულებს აქვთ.

ᲗᲐᲗᲐ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 25 704-ᲛᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის კვეთის სტატისტიკის თანახმად, 2019 წლის მარტში ქვეყანა 25 704-მა მოქალაქემ დატოვა.

სტატისტიკის თანახმად, გასულ თვეში საქართველოს ყველაზე მეტი მოქალაქე გერმანიაში (6056), საბერძნეთში (3730), პოლონეთში (3185) და იტალიაში (2913) გაემგზავრა.

გერმანია: 6056 გაემგზავრა და 31 ქვეყანაში არ შეუშვეს!

იტალია: 2913 გაემგზავრა — 30 ქვეყანაში არ შეუშვეს.

საბერძნეთი: 3730 გაემგზავრა — 13 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ავსტრია: 1650 გაემგზავრა — 105 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ლატვია: 708 გაემგზავრა — 27ქვეყანაში არ შეუშვეს!

ნიდერლანდები: 331 გაემგზავრა — ყველა შეუშვეს!

ესპანეთი: 1497 გაემგზავრა — 37 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ლიეტუვა: 501 გაემგზავრა — ყველა შეუშვეს!

საფრანგეთი: 1595 გაემგზავრა — 35 ქვეყანაში არ შეუშვეს!

პოლონეთი : 3185 გაემგზავრა — 20 ქვეყანაში არ შეუშვეს!

უნგრეთი : 1109 გაემგზავრა — 10 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ჩეხეთი: 1491 გაემგზავრა — 3 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ბელგია: 168 გაემგზავრა — 4 ქვეყანაში არ შეუშვეს!

რუმინეთი: 10 გაემგზავრა — ათივე შეუშვეს!

ბულგარეთი: 102 გაემგზავრა — 1 ქვეყანაში არ შეუშვეს;

კვიპროსი: 1011 გაემგზავრა — 39 ქვეყანაში არ შეუშვეს!

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ! ᲐᲛ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲠᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲡ ᲒᲐᲣᲙᲔ�თᲔᲑᲓᲘᲗ? ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲘᲖᲐᲠᲝᲗ! ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲛ 25 704 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ?!

20 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲚᲐᲠᲘ CHECK IN GEORGIA-ᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მთავრობის განკარგულებით ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას **Check in Georgia**-სთვის დაახლოებით 20 მილიონი ლარის გამოყოფა დაევალა. განკარგულების მიხედვით, „ბლექ სი არენა ჯორჯია“ მიიღებს 6 500 000 (ექვსი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს; სსიპ შემოქმედებითი საქართველო 8 100 000 (რვა მილიონ ასი ათასი) ლარს; ხოლო წინანდლის ფესტივალი კი 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

განკარგულების თანახმად, თანხების გამოყოფა ტურისტულად მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით განხორციელდება.

ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲨᲘ!

ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ მოქალაქეების შემოწმებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტებას აკეთებს. როგორც უწყებაში აცხადებენ შემოწმება პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება: **„მომხდარ დანაშაულზე რეაგირების გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა დანაშაულის პრევენცია. ამ მიზნით, პოლიცია უფლებამოსილია „პოლიციის შესახებ კანონის“ საფუძველზე, შეაჩეროს და შეამოწმოს პირი თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ამ პირს თან აქვს ამავე კანონით აკრძალული რაიმე ნივთი. სწორედ აღნიშნულ, კანონით გათვალისწინებულ პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებს პოლიცია პერიოდულად“,** — განუცხადეს „ნიუპოსტს“ უწყებაში.

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲡ

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ მზადაა, საქართველოს მოქალაქეების დროებით ლეგალურად დასაქმების საკითხზე თბილისთან ითანამშრომლოს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„უკვე განისაზღვრა შესაბამისი საკონტაქტო პირები და აღნიშნულ საკითხზე იგეგმება საქართველოს დელეგაციის ვიზიტი პორტუგალიაში.

როგორც საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ცირკულარული მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის განვითარება პრიორიტეტულია. უმნიშვნელოვანესია, რომ საფრანგეთთან ხელმოწერილი შეთანხმების შემდგომ პორტუგალია იქნება ევროკავშირის წევრი კიდევ ერთი ქვეყანა, ვისთანაც საქართველო ამ მიმართულებით შეთანხმებას გააფორმებს. აღინიშნა, რომ ეს კარგი შესაძლებლობა იქნება ქართველი სპეციალისტებისთვის დასაქმდნენ და კვალიფიკაცია აიმაღლონ, ასევე შეთანხმება ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების დარეგულირებას.

საქართველო აქტიურად აგრძელებს შრომითი მიგრაციის სფეროში ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობას. როგორც ცნობილია, უკვე ძალაში შევიდა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმება „კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა უახლოეს მომავალში შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაცია დაიწყოს. შრომითი მიგრაციის საპილოტე პროექტი მიმდინარეობს პოლონეთთან, დროებითი შრომითი მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობს ასევე ისრაელთან და ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებთან“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

მეცხრე სიმაღლე

აბა, ვინ, თუ არა სალუქვაძე

ერთადერთი ქართველი სპორტსმენი, ვისაც ოლიმპიურ თამაშებზე სამივე სინჯის — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს — მედლები აქვს მოპოვებული; მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი; პლანეტის 19-გზის რეკორდსმენი; ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სროლის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი — ასეთად ვიცნობთ ლეგენდარულ თანამემამულეს, რომელიც ცეცხლის ხაზზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებს წარმატებით უხამებს ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ჰოდა, გეკითხებით, თუ არა ჩვენი ღირსეული თანამედროვე ნინო სალუქვაძე, ვინ უნდა გამხდარიყო „ჯვაროსანთაგან“ ტოკიო — 2020-ის ლიცენზიის პირველი მფლობელი?

მორიგი სიმაღლე სამშობლოს ოლიმპიურმა იმედმა პეკინში დაწყებულ მსოფლიო თასზე დაძლია, სადაც პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში უპრობლემოდ შეასრულა პროგრამა — მინიმუმი და ფინალში მოგროვებული 176,9 ქულით (საკვალიფიკაციო ეტაპზე — 578 ქულა) მეხუთე ადგილი დაიკავა.

და, რაც მთავარია — ლატვიელი აფანასი კუზმინისის მსგავსად, ნინო სალუქვაძე გაისად მეორე მსროლელი გახდება, ვინც ოლიმპიადებში მეცხრედ (!) მიიღებს მონაწილეობას.

დავძენთ, რომ აქამდე ამ მხრივ აბსოლუტური რეკორდია 10 თამაშები და გვწამს, რომ გენიალური ჩუბინი 2024 წელს აღნიშნულ მიღწევასაც ძლევამოსილად შეუტევს.

კობა კობახიძე

სტუდენტური სპორტი

თსსუ-ში მსაჯებსაც აფასებენ

წინასაალდგომო დღეებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული და უცხოენოვანი ფაკულტეტების თორმეტმა გუნდმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯ გურამ გვანცელაძის სახელობის ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

მინიფეხბურთელთა აღნიშნული ბრძოლების ღირსეულად მოწყობაში, ტრადიციისამებრ, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს თსსუ-ს სპორტის ცენტრის დირექტორმა **ზაურ ფხალაძემ,** მედიკოსთა ნაკრების მწვრთნელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ, ამავე ტურნირის მთავარმა მსაჯმა **ვახტანგ ბაქანიძემ** და ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის თვითმმართველობის პრეზიდენტმა **ანა კაკაბაძემ.**

ნახევარფინალები: „მფრინავი ჰოლანდიელი“ — „რეაბილიტაცია“ 5:4, „მედიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაცია“ — „მედიცინა“ 9:3.

ფინალი. „მედიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაცია“ — „მფრინავი ჰოლანდიელი“ 3:2. მესამე ადგილი „რეაბილიტაციამ“ დაიკავა.

დავძენთ, რომ გამორჩეული სტუდენტები თვით ბატონმა გურამ გვანცელაძემ დააჯილდოვა:

საუკეთესო მოთამაშე — დავით მაზიაშვილი;

საუკეთესო მეკარე — თორნიკე ფუტკარაძე;

საუკეთესო ბომბარდირი — სანდრო კვერენჩხილაძე, 12 გოლი.

გიორგი შოთაძე

ევროლიგა

ქარის მობანილი ქარმა წაიღო

ხანმოკლე აღმოჩნდა „ბასკონიას“ ქომაგთა სიხარული — საკალათბურთო ევროლიგის პლეი-ოფის მესამე მატჩი ქართველ ლეგიონერთა კლუბმა საკუთარ დარბაზში ცსკა-სთან 77:84 წააგო და სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა ისევ მეტოქეს გადაულოცა — 1:2. არადა, მეორე შეხვედრის მოსკოვში მოგების შემდეგ მომავალი ოთხთა ფინალის მასპინძლებს რეალური შანსი გაუჩნდათ, ტურნირის ნახევარფინალური ბრძოლა მადრიდის „რეალთან“ მშობლიურ ქალაქ ვიტორიაში გაემართათ.

რუსული გრანდის გამარჯვებაში სოლიდური წვლილი ნანდო დე კოლომ შეიტანა — 28 ქულა, ბასკთაგან კი ასევე ფრანგმა ვენსან პუარემ იყოჩაღა — 19 ქულა, 15 მოხსნა.

რაც შეეხება „ჯვაროსნებს“, მათი შედარებით მოკრძალებული პირადი მონაგარი ასეთია: თორნიკე შენგელია — 9 ქულა, 3 მოხსნა, მეტ ჯეინინგი — 7 ქულა.

დღეს სერიის მეოთხე თამაში ისევ ბასკეთში მოეწყობა.

ვიტალი ჯაფარიძე

ოკეანის გაღმა

5 წუთის ფასი

დრამატულად განვითარდა მოვლენები ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი-ოფებში, განსაკუთრებით — დასავლეთ კონფერენციის მერვედფინალურ წყვილში „სან ხოსე“ — „ვეგასი“, რომლის ბედიც მასპინძელთა სასარგებლოდ დამატებით დროში ბარკლი გუდროუს ზუსტმა ტყორცნამ გადაწყვიტა — 5:4 (სერიის საბოლოო ანგარიში — 4:3).

აღსანიშნავია, რომ სტუმრები მესამე პერიოდში 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ მათთვის საბედისწეროდ იქცა ხუთწუთიანი რიცხობრივი უმცირესობა, რა დროსაც ერთბაშად 4(!) შაიბა გაუშვეს.

მეოთხედფინალში ითამაშებენ:

„ბოსტონი“ — „კოლამბუსი“,
„სენტ ლუისი“ — „დალასი“,
„სან ხოსე“ — „კოლორადო“,
„ვაშინგტონი“ — „აილენდერსი“.

მანუჩარ გიორგაძე

64

მას გზა საქართველომ დაულოცა

პაულ კერესი (1916, ნარვა — 1975, ტალინი) — საერთაშორისო დიდოსტატი (1950), ესტონეთის ჩემპიონი (1934), შესანიშნავი კომპოზიციების ავტორი. 35 წლის განმავლობაში (1938-73) მონაწილეობდა პლანეტის პირველობის პრეტენდენტთა ტურნირებში. იგი 1960-1962 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებს მხოლოდ ფინალური სტადიებიდან ეთიშებოდა — **„კერესი ჭადრაკის გენიოსია, მაგრამ ადრეც იყვნენ მსგავსი გენიოსები (მაკ-დონელი, ცუკერტორტი, ჩიგორინი, ტარაში, პილსბერი), რომლებიც ბრწყინვალე მეორენი იყვნენ“, — ამბობდა ტარტაკოვერი.**

ესტონელმა დიდოსტატმა 1700-ზე მეტი ამოცანა და ეტიუდი შეადგინა. 1946 წელს თბილისის საერთაშორისო ტურნირში ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო სკოლის სიამაყემ, პირველმა ქართველმა საერთაშორისო ოსტატმა ვიქტორ გოგლიძემ მოიწვია პაულ კერესი, რომლის გამო, — იგონებს ბატონი ვიქტორის ვაჟიშვილი ვლადიმერ გოგლიძე, — მამაჩემს თავს მთელი რიგი უსიამოვნებები გადახდაო. კერესი ომის დროს ოკუპირებულ ბალტიისპირეთში ერთდროულ სეანსებს ატარებდა, რომელშიც გერმანელებიც მონაწილეობდნენ. კომუნისტური რეჟიმი, პოლიტიკური მოსაზრებებით, არ იყო შემწყნარებელი ასეთი აპოლიტიკური მოჭადრაკის მიმართ!

ამრიგად, ბატონმა ვიქტორმა, შექმნა რა პრეცედენტი, ფართო გზა გაუხსნა პ. კერესს შემდგომი ასპარეზობებისაკენ და ვინ იცის, რამდენი შედევრი გადაურჩა ამ უბრწყინვალესი დიდოსტატის შემოქმედებით მემკვიდრეობას.

ეივე-კერესი
1940 წ.



22...d3 23.g:d3, ♕:d3 24.♕:d3 ♘d4+ 25 ♔f2, g:e6 26.♗:f1 ♖ae8 27.f5, ♖e5 28.f6, gf 29.♖d2, ♘c8 30.♗f4, ♖e3 31.♕b1 ♖f3+ 32.♗:g2, g:f4 33.gf ♖g8+ 34.♗f3, ♘g4+, 0:1

კერესი — საიდი
1964 წ.



1. ♖c6!, ♗c6 2.♘f6, ♘f6 3. d5+

შენიშვნა: [illegible]

ხსოვნა



მეუღლე ეთერ მერკვილაძე, შვილი კობა, რძალი სოფო მიგრიაული, შვილიშვილები მარიამ, ანასტასია, ალექსანდრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯეირან კიკრიაშვილი

პანაშვიდი: 28, 29 IV, 18 სთ. გორის რაიონი სოფ. ხელთუბანში წმინდა სამების ეკლესიაში.

გამოსვენება 30 IV, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „სტალინის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ საზოგადოების უცვლელი თანათავმჯდომარე

ჯეირან კიკრიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ პრეზიდიუმი

ვახო, ელენე, ლადო, ვახტანგ შევარდენიძეები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ

ჯეირან კიკრიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ მრავალათასიაანი კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და უცვლელი თანათავმჯდომარე

ჯეირან კიკრიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს

გრიშა ონიანი, ლელა სვანიძე.

საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის წევრის

ჯეირან კიკრიაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ბატონი ჯეირანი გახლდათ მრავალმხრივი მკვლევარი. ის აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის ეგიდით ჩატარებულ მრავალ სამეცნიერო ღონისძიებაში, იყო რამდენიმე სამეცნიერო პროექტის თანაავტორი და მეცენატი, წიგნის ავტორი. ამავე დროს გახლდათ საქართველოს გულანთებული პატრიოტი, რომელიც ყოველ ქართულ საქმეს დიდი სიყვარულით ეკიდებოდა.

ნათელში იყოს მისი კეთილშობილური და რაინდული სული.

საქართველოს ეროვნული აკადემია.

სულთათანა

სევერიან (ზურა) წაქაძე



შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ სულით ხორცამდე შეგვძრა შენი სათაყვანებელი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები, მეზობლები, ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებთან ერთად წლების მანძილზე ცხოვრობდი, თავდაუზოგავად, ნაყოფიერად და წარმატებით მოღვაწეობდი.

„ვინც ღმერთებს უყვართ, ადრე კვდებაო“. სხვაგვარად ვერ წარმოვიდგენდით ასე უდროოდ შენს გაცილებას სამოთხისაკენ მიმავალ გზაზე. შენი მიზანი ხანგრძლივი სიცოცხლე და კეთილი საქმეების კეთება იყო. მუდამ ახლის ძიებაში იყავი. სწორედ ამიტომ, ღვთისგან ბოძებული მადლიერება, შესაშური ნიჭი და უნარი ფიზიკის სფეროში ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას მოახმარე. წარმატებებს დიდი შრომის ფასად დამოუკიდებლად მიაღწიე.

ძნელია სევერიან (ზურა) წაქაძეზე წარსულში საუბარი.

ჩემო ერთგულო და კეთილო მეგობარო, მთელი ცხოვრება მემახსოვრება ერთად გატარებული ძმობის დაუვიწყარი სამი ათეული წელი, ბედნიერი ოჯახური შეხვედრები, საქმიანი საუბრები, რაც მთელი ცხოვრება ტკბილ მოგონებებს გამახსენებს.

კარგი ოჯახის შვილი გამორჩეული იყავი სამართლიანობით, სამაგალითო სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით, კეთილშობილებით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით. გაგაჩნდა საკითხებში ღრმა წვდომის უნარი, ფლობდი მდიდარ ინფორმაციას.

შენი ცხოვრების არჩეული გზა იყო სამართლიანი, ჭეშმარიტი, დალოცვილი და კურთხეული, მაგრამ სამწუხაროდ მოკლე აღმოჩნდა.

მებრძოლი სულის მქონე პიროვნება პირად გასაჭირსა და პრობლემებს თავს არავის ახვევდი, ყველაფერს თვითონ უმკლავდებოდი. თუმცა, ძვირფასი დისა და უსაყვარლესი შვილიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ დიდი ზიანი მოგაყენა.

იმ დროს დაგვტოვე, როცა ძალიან გვჭირდებოდი ყველას, პირველ რიგში მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, სიძეებს.

დანაშაულია შენი სიკვდილი. სამწუხაროდ, ბიოგრაფია, რომელიც არაერთი წარმატებით უნდა გაგემდიდრებინა, ნაადრევად დასრულდა და დაესვა ჯვარი.

„მკვდრად იგი თქმულა ვის ქვეყნად, სახელი არ დარჩენია“. მადლობა შენ, რომ სიყვარულზე დაფუძნებული სახელოვანი ოჯახი, ტკბილი და დაუვიწყარი მოგონებები დაგვიტოვე.

კარგ მამულიშვილს, გვარის საამაყო წარმომადგენელს, შესანიშნავ პიროვნებას დღეს მიგაცილებთ ორი სამყაროს გზაგასაყართან და დაგილოცავთ გზას საუკუნო სასუფეველში. აღდგომის წინა დღეებში დასრულდა შენი ცხოვრება. გვჯერა, რომ პირნათლად წარსდგები უფლის წინაშე, სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებ წმინდანთა სავანეში ღირსეულ წინაპართა შორის და ყველას დაგვლოცავ.

მშვიდობით ჩვენო ზურა. არასოდეს დაგივიწყებთ. ყოველთვის კეთილი მოგონებებით უკვდავყოფთ შენს ნათელ სახელს.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დიდებულო ადამიანო.

თემურ შარიძაძის ოჯახი.

გახსენება

კაცს, რომელსაც დავიწყება არ უწერია

ნუგზარ გაბრიჩიძე 70 წლისა გახდებოდა...

ბრწყინვალე ქართველი, თავისი სამშობლოს, ერის, ხალხის მოჭირნახულე, შესანიშნავი იურისტი, სამართლიანობით და თავისი საქმის უმაღლესი პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნება, რომლის სახელიც დღესაც სამაგალითოა ამ მეტად რთულ და უაღრესად საპასუხისმგებლო პროფესიაში.

ლამაზი ოჯახის მამა, ბაბუა და მეუღლე, ჭეშმარიტი მეგობარი და ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელიც გახლდათ.

ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება კაცზე, რომელიც მართლაც რომ დააკლდა ქვეყანას, დააკლდა ქალაქს, დააკლდა ახლობლებს, მეგობრებს... თანაც იმ დროს, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო.

მისი გარდაცვალებიდან, ზეციურ საქართველოში გადაბრძანებიდან გასული ყოველი წელიწადი დავიწყების ნაცვლად კიდევ უფრო მეტ ტკივილს, კიდევ უფრო მეტ გულისწყვეტას ამძაფრებს ჩვენში, კიდევ უფრო მეტად გვაგრძნობინებს ასეთ დიდებულ ადამიანთა საჭიროებას.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული. დაე, არ მოჰკლებოდეს ჩვენს სამშობლოს ნუგზარ გაბრიჩიძის მსგავსი ქართველები.

მეგობრების სახელით:

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, რამაზ ხეცურიანი, თემურ კუჭუხიძე, გრიშა ონიანი, თემურ მურღულია, როლანდ გაბრიჩიძე, ამირან ნიკოლეიშვილი, მელორ ტყეშელაშვილი.

გამშვებ პუნქტებში არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს

24-25 აპრილს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“ და „წითელი ხიდი“ არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მოქალაქეების ფიზიკური დათვალიერების შედეგად, ჯამში, 1,690 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი, და სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათას ათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

მძიმედ დაშავდა 5 არასრულწლოვანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ცოტა ხნის წინ გორის მუნიციპალიტეტში. „ნიუპოსტის კორესპონდენტის ცნობით, შინდისის გზაზე მსუბუქი ავტომობილი ამოტრიალდა. შემთხვევის შედეგად 5 არასრულწლოვანი დაშავდა. ისინი მრავლობითი დაზიანებებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს რამაც ადამიანის სიცოცხლის მძიმე დაზიანება გამოიწვია.**

მამულო, ენავ, სარწმუნოებავ!

სრულიად საქართველოს და ყველა მართლმადიდებელს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

უფალმა ინებოს საქართველოს გამთლიანება-აღორძინება და მოგვმადლოს წყალობა და მფარველობა.

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!

ნანული (ნანა) გუნია

უფალს
(სამადლობელი)

ეს მერამდენედ მახარებ
შენს მადლს არა აქვს საზღვარი,
გულით მსურს, შენს სიყვარულში
ვიყო მტკიცე და მართალი.

ამ ქვეყანაზე თუ რამეს
ვაკეთებ, რაც მაბადია,
ეს შენი დიდი წყალობა,
ეს შენი დიდი მადლია.

რა კეთილი ხარ, რა ტკბილი,
უღალატო და ერთგული,
ყოვლად ძლიერო, მოწყალევ,
მსურს, მოგაკუთვნო ეს გული.

შენს მადლს, წყალობას, ყველგან ვგრძნობ
მარტო ამ წუთას კი არა,
ეს რა თბილი და ტკბილი ხარ,
სიყვარული ხარ მთლიანად.

ემოციებით დახუნძლულს
სიტყვები მართლაც არ მყოფნის,
რწმენით შევყურებ მომავალს,
მადლობელი ვარ აწმყოთი.

მსურს, სიყვარულში განვლიო დღენი

დიდო უფალო, დედაო ღვთისავ,
სულის ლამპარო ჩემო,
მამულო, ენავ, სარწმუნოებავ,
სულის სანთელო მწველო.

ანთებულ სანთლად მოვლინებულო
მშობელო დედავ ტკბილო,
გზის ლამპარივით მანათობელო,
მზის სხივზე მეტად თბილო.

გულის ფესვებში უფალი, დედა,
მამული, ენა, რწმენა,
სანთლად მინთია, მესალბუნება
ქრისტე მაცხოვრის მცნება.

მსურს, სიყვარულში განვლიო დღენი
და სანთელივით ვენთო,
ქვეყნის სიმართლეს, ქართველთ ერთობას,
შეგთხოვ, მაღალო ღმერთო!

◎ დღესასწაულთა დღესასწაული

გილოცავთ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

28 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, თითოეული მართლმადიდებელი ქართველი დღესასწაულობს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...ცნობილია, რომ დიდ შაბათს, ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს მიწისძვრა და იმწამსვე დაინახეს ანგელოზი ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარებიდან ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა... ქრისტე აღსდგა!

აღსანიშნავია ისიც, რომ აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე, ის დარჩა ქვეყანაზე და ბევრჯერ გამოეცხადა მოწაფეებს, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ აღსდგა მათი მოძღვარი იესო ქრისტე.

ორიოდე სიტყვით სააღდგომო კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიციის თაობაზე. ეს ჩვეულება ძალიან ძველია... ამაღლებამდე მაცხოვარმა მოწაფეები, რომელთა შორის მარიამ მაგდალინელიც იყო, სხვადასხვა ქვეყანაში საქადაგებლად დაგზავნა. მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორ ტიბერიუსის სასახლისკენ გაემართა. ქალი როგორც წარჩინებული გვარის ჩამომავალი და ცნობილი პიროვნება, იმპერატორთან დაუბრკოლებლად შეუშვეს. მან რომის მბრძანებელს კვერცხი მიართვა ძღვნად და მაცხოვრის აღდგომა ახარა. „მკვდარმა აღდგომა როგორ შეძლო?! ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ თეთრი კვერცხის გაწითლება!“ – წამოიძახა ტიბერიუსმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – ჯერ ვარდისფერი გახდა, შემდეგ გაწითლდა.

ნიშანდობლივია, რომ ეს წითელი ფერი ჩვენი სულიერი სიხარულის, ზეიმის გამოხატულებაა იესო ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევის მისი მკვდრეთით აღდგომისა და ჩვენი ხსნის საქმეთა აღსრულების გამო.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი“!

გიული ლიპარტია

„ზამთარი გადატანილია“!..

ახალ სახელოვნებო სივრცეში – „ბარნოვის ხელოვნების სახლში“, თიბისის მხარდაჭერით, გურამ წიბახაშვილის გამოფენა – „ზამთარი გადატანილია“ ფოტოგრაფის ამავე სახელწოდების წიგნის პრეზენტაციით გაიხსნა.

ქართულ და ინგლისურენოვანი წიგნები გურამ წიბახაშვილის 250-მდე ფოტოს, ამ ფოტოების ისტორიებსა და ანა კორძაია-სამადაშვილის ესეებს აერთიანებს. წიგნი თიბისისა და გამომცემლობა „ინდიგოს“ თანამშრომლობით, ნინო ლომაძის რედაქტორობით გამოიცა.

წიგნი და გამოფენა 1987-1995 წლების საქართველოს ისტორიის ერთდროულად ვიზუალური და ტექსტუალური ფორმატებით გაცოცხლების, გააზრებისა და შეჯამების საშუალებას იძლევა. 1990-იანი წლების ისტორიებს წიგნში თავმოყრილი ამბების გმირები ცოცხლად იმ ფილმში ჰყვებიან, რომელიც თიბისის ორგანიზებით სტუდია – „Film Asylum“-მა მოამზადა. ფილმი ხელოვნების სხვადასხვა დარგის – კინოს, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურისა და მუსიკის ისეთ წარმომადგენლებს აერთიანებს, როგორებიც არიან: ლაშა ბაქრაძე, გოგი გვახარია, ლადო ბურდული, ილიკო ზაუტაშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, მანანა არაბული, ანა კორძაია-სამადაშვილი, თეო ხატიაშვილი, რობი კუხიანიძე და სხვები. ფილმი ექსპოზიციის ნაწილად იქცა და მისი ნახვის საშუალება გამოფენაზე მისულ დამთვალიერებლებს აქვთ.

პროექტის ფარგლებში, გამომცემლობა „ინდიგოსა“ და თიბისის ორგანიზებით, კვირაში ერთხელ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების საუბრები შედგება.

რუსთაველის № 18-ში „ბარნოვის ხელოვნების სახლი“ სწორედ ამ გამოფენით გაიხსნა და დაიწყო ფუნქციონირება. ახალი სივრცე გურამ წიბახაშვილის გამოფენას 31 მაისის ჩათვლით უმასპინძლებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6984; ევრო - 3.0246;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4912;
100 რუბლი - 4.2125; თურქული ლირა - 0.4595;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5872;
1000 სომხური დრამი - 5.5752.

ამინდი 26 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+19
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge